საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 7
(11 464)

26 – 29 იანვარი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კახი კალაძე – 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი!

**გუშინ ინტერნეტის საშუალებით „მილანის“ ერთ-ერთ სერვერში გავრცელდა სპორტული ჟურნალისტის ნ. თომასის სტატია, რომელიც ნათელს ჰფენს კახი კალაძის იტალიურ კლუბში გადასვლის სატრანსფერო თანხის რაოდენობას.**

კიევის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ „მილანი“ და „დინამო“ შეთანხმდნენ სატრანსფერო თანხაზე. იგი 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

დაინტერესებული კლუბების წარმომადგენლები რამდენიმე დღე ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხზე: უკრაინელები კალაძეში 13 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვდნენ, იტალიელები კი მზად იყვნენ გადაეხადათ 9. მაგრამ ბოლოს სურკისმა იტალიელებს დაუთმო. სამშაბათს კიევის კლუბის პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა: „ყველაფერი მორჩა. ვუსურვებთ კალაძეს ბედნიერ მომავალს თავის ახალ გუნდში!“

ახლა „მილანს“ დიდი ძალისხმევა მართებს, რათა განაცხადში შეიყვანოს ახალბედა 31 იანვრამდე (ამ დროს იტალიაში სატრანსფერო სეზონი იხურება).

კალაძის ახლო მეგობარმა, „მილანის“ სუპერბომბარდირმა, ანდრეი შევჩენკომ ძლიერ გაიკვირვა, როდესაც ქართველი ლეგიონერი მილანში დაინახა, ამავე დროს გაუხარდა კიდეც: „ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზია, ამასთან, კმაყოფილიც ვარ — იგი უმაღლესი კლასის მცველია“. „მილანის“ მწვრთნელმა ალბერტო ძა-



კერონიმ კი დაამატა: „მას შეუძლია ითამაშოს ნახევარდაცვაშიც, ისევე როგორც პაოლო მალდინიმ“. ამგვარად, კალაძე პირველი ქართველია, რომელიც იტალიის სერია A-ში ითამაშებს, იმავდროულად იგი ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელია. აქამდე რეკორდი გიორგი ქინქლაძეს ეკუთვნოდა, რომელიც „მანჩესტერ სიტიში“ 5,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.

## გუშინ, დღეს...

● ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი ნინო სალუქვაძე მიუნხენში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს პნევმატური იარაღის სროლაში უმაღლესი კატეგორიის დიდ საერთაშორისო ტურნირში. ხარჯები სპორტის დეპარტამენტმა გაიღო.

● **დღეს,** 26 იანვარს, 12 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ჩვენს ქვეყანაში უნივერსიადების ჩატარების აღდგენის საკითხს განიხილავს დარგის სპეციალისტებთან ერთად. დაზუსტდება აგრეთვე უნივერსიადის პროგრამა.

● **დღესვე,** 14 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში ჩატარდება საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

## მერაბ ჟორდანია: სფფ-ს იმიჯი სულ უფრო იზრდება....

### პასუხები უამრავ საინტერესო საკითხებზე, მათ შორის კახი კალაძის ტრანსფერთან დაკავშირებით

შვეიცარია-რუსეთიდან სამუშაო ვიზიტიდან დაბრუნებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა. დასაწყისში წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სფფ-ს პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის ხსოვნას. პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ თქვა: „10 დღის განმავლობაში შვეიცარიაში და მოსკოვში ფიფასა და უეფას ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ისეთი საკითხები გადაწყდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისათვის. შვეიცარიაში ვმონაწილეობდი ევროკავშირთან ფეხბურთელთა ტრანსფერების საკითხის დარეგულირების მუშა-ჯგუფის მუშაობაში. ჯერ საბოლოო გადაწყვეტი-



ლება მიღებული არ არის, ალბათ, ბოლო სიტყვა მაინც კომისიაზეა, თებერვალში, ბოლო შეხვედრაზე იგი ალბათ ისეთ გადაწყვეტილებას მიი-

იხ. მე-3 გვ.

## რეპლიკა

## კიდევ ერთი უსიამოვნების მოლოდინში?

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში, მალე განახლდება საქართველოს ნაკრები, 28 მარტს, რუმინეთის გუნდს უმასპინძლებს, მაგრამ სად, რომელ ქალაქში და რომელ სტადიონზე? მართლა უცნაური ხალხი ვართ ქართველები, დროს და პასუხისმგებლობას ხშირად არაფრად ვაგდებთ და, როგორც წესი, ყველაფერი ეს, ადრე თუ გვიან, სინანულით და უსიამოვნებით მთავრდება. რაღა დარჩა, სულ მხოლოდ ორი თვე გვაშორებს რუმინელებთან მატჩს და დღემდე ყველაფერი, შეიძლება ითქვას, ძველებურადაა. ჯერ იყო, ვაკეში „ლოკომოტივის“ სტადიონის მარტისთვის დამთავრებას გვპირდებოდნენ, მერე აქცენტი ეროვნულ სტადიონზე გადაიტანეს. აქცენტების გადატან-გადმოტანა იოლია, ძნელი ის არის, საფეხბურთო სტადიონი ფიფა-უეფას მოთხოვნების შესაბამისად კეთილმოაწყო. ახლა, ძალიანაც რომ მოინდომონ, დრო აღარ რჩება პრობლემების მოსაგვარებლად. უპირველესად ეს ეხება ეროვნული სტადიონის განათების საკითხს. კარგა ხანია გაჩანაგდა და შესაბამის უწყება-ინსტანციებში შეთანხმდნენ კიდეც, რომ განათების სისტემას არენდით აიღებდნენ უცხოეთში, ჩამოიტანდნენ თბილისში, დროებითი ექსპლუატაციის შემდეგ დემონტაჟს გაუკეთებდნენ და პატრონს დაუბრუნებდნენ. იყო დაპირება, ყველა ხარჯებს თბილისის მერია გადაიხდიდა. არა, პირის შეშლაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რაღაც პრაქტიკული ნაბიჯი ხომ უნდა გადაიდგას. სფფ-მ ადრევე განაცხადა, რომ დაეხმარებოდა მერიას უცხოეთში განათების სისტემის გამონახვასა და ტრანსპორტირებაში, მაგრამ, როგორც გუშინ შევიტყვეთ, ჩვენი ფედერაციისთვის ოფიციალურად ამ საკითხზე ჯერ არავის მიუმართავს. მათთვის ისიც უცნობია, ვის აქვს დავალებული კონკრეტულად პრობლემის მოგვარება. არადა, აგერ 28 იანვარიც, დღე, როცა სფფ-მ ჯერ ორი ქალაქი უნდა დაასახელოს სავარაუდოდ, რუმინელებთან მატჩის მასპინძლად, კიდევ ერთი თვის თავზე, 28 თებერვალს კი უკვე ერთი და კონკრეტული ქალაქი უნდა დასახელდეს. როგორც ხედავთ, აქაც გაურკვევლობასთან და ცაიტნოტთან გვაქვს საქმე. გეტყვით იმასაც, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა VIII ჯგუფიდან, რომელიც ასე აგვიანებს თავის მეტოქესთან მოახლოებული მატჩის მასპინძელი ქალაქის დასახელებას.

დაიხსომეთ, ჰაერში კიდევ ერთი უსიამოვნების სუნი ტრიალებს.

მიმომხილველი

## ქართველები და ებრაელები მყინვარწვერზე

### «მყინვარი-2001»

## „სპარტაკი“ პირველია!

***ალბათ ერთადერთი სახლი, სადაც 2001 წელს საახალწლო სამზადისი და სტუმრიანობა არ იყო, ზურაბ კუჭავას სახლი იყო. თუმცა ამ სახლში სტუმარი მაინც ბევრი მოვიდა. ახალი წლის დღეებში აქ ტრადიციული საახალწლო სადღეგრძელოებიც შეისვა და საცივითაც ოჯახის წევრები ყველას უმასპინძლდებოდნენ, თუმცა ყოველივე ეს ალპინისტებზე ვიდეოფილმების ჩვენების ფონზე და მყინვარწვერზე წასაღები აღჭურვილობის გადათვლა-გადამოწმებასთან ერთად ხდებოდა.***



ასეთ სამზადისში კი ჩვენი მასპინძლები მე-5 ახალ წელს შეხვდნენ. საქმე ისაა, რომ დამწყები ალპინისტები და ოდნავ უფრო გამოცდილები, ზურაბ კუჭავას ხელმძღვანელობით (არაოფიციალური ალპინისტთა სკოლა) პროგრამით გათვალისწინებული ზამთრის ექსპედიციისათვის საგულდაგულოდ მოემზადნენ. ექსპედიციის თბილისში დაბრუნების შემდეგ, ზურაბ კუჭავამ „2001 წლის იანვრის — მყინვარწვერს“ შედეგიანი უწოდა, თუმცა არც ზურაბმა, არც ორმა სტუმარმა ისრაელიდან და არც 12-მა თბილისელმა დამწყებმა და შედარებით გამოცდილმა ალპინისტმა არ იცოდნენ ამინდი (მთაში კი ამინდი ელვის სისწრაფით იცვლება), რამდენი მწვერვალის დალაშქვრის საშუალებას მისცემდა.

თბილისიდან გასვლის დღე 6 იანვარი იყო...

— 6 იანვარს ექსპედიციამ დილით ადრე აიღო გეზი ყაზბეგისაკენ. — ჰყვება ზურაბ კუჭავა, — ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სასკოლო პროგრამით ჩვენ კლასიკურ ასვლებს, უფრო გამოცდილთათვის შედარებით რთულ მარშრუტებს ვგეგმავდით. პირველი ოთხი დღე, როგორც დაგეგმილი იყო, ტვირთის აზიდვას მოვანდომეთ — ჯერ საბერწემდე, შემდეგ მეტეოსადგურზე. სხვათა შორის, ზამთრისათვის უჩვეულო კარგი და თბილი ამინდი იყო...

...მოკლედ, ვიდრე ჩვენი ბიჭები ყაზბეგი-საბერწე, შემდეგ კი საბერწე — მეტეოსადგურის გზას იყვნენ გამოკიდებულნი, ებრაელი სტუმრები დროის სიმცირეს უჩიოდნენ და მწვერვალისაკენ მიისწრაფოდნენ. ბევრი ფიქრის შემდეგ ექსპედიციის ხელმძღვანელმა ზურაბ კუჭავამ დახმარებისათვის ყაზბეგელ ჯონი ხუციშვილს მიმართა და სტუმრები ავნერი და იაირი თბილისელ ვანო იმნაიშვილთან ერთად მწვერვალებისკენ „გაუშვა“.

აი, აქედან დაიწყო „ებრაელების მოგზაურობა“ მყინვარწვერისკენ, სხვათა შორის, მათი თავგადასავლის მიხედვით კარგი კომედიური ჟანრის ფილმსაც კი გადაიღებდა კაცი.

მოკლედ, ებრაელებს ვანო იმნაიშვილმა (საბოლოოდ ვანო მათი საუკეთესო მეგობარიც გახდა) რამ-

იხ. მე-2 გვ.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

***ფეხბურთი.*** ჰოლანდიის თასი. ნეიმეგენი-ფეიენოორდი 1-2 (1-1).

***ბრატისლავა.*** ევროპის ჩემპიონატზე ფიგურულ ციგურაობაში მოცეკვავე წყვილებმა დაასრულეს პროგრამა ორიგინალურ ცეკვაში. ლიდერობენ იტალიელები ბარბარა ფუზერ-პოლი და მაურიციო მარგალიო.

***ფორმულა-1.*** სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა, გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა თავისი გუნდის — „ფერარისაგან“ მიიღო ახალი შლემი. იგი ტყვიაგაუმტარია.

***ცურვა.*** შვედმა მოცურავემ ანალენა კამერლინგმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპზე მან 50 მ. ბატერფლაის სტილით 25,36 წამში გაცურა და თავისი რეკორდი (25,60) გააუმჯობესა.




*ანა-ლენა კამერლინგი*

## ინტეგრაცია

## ოთხნი ხელბურთში ევროპის ფედერაციის დელეგატი

სამწუხაროდ, ჩვენში სპორტის ბევრი სახეობა ვერ დაიტრაბახებს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში თავის წარმომადგენელთა სიმრავლით. მაგრამ იმ მცირერიცხოვან ფედერაციათა შორის, რომლებსაც კარგად მიუდით ინტეგრაციის საქმე, არის საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია. სადღეისოდ ხელბურთის ევროპის ფედერაციის საქმეში, საქართველოდან ოთხი დელეგატი ჰყავს ჩართული. ესენი არიან ვეტერანები თამაზ ჩხარტიშვილი და გურამ ძაგანია, რომლებიც ადრე საერთაშორისო შეხვედრებს მსაჯობდნენ და ასაკის გამო ახლა დელეგატად დარჩნენ და შედარებით ახალგაზრდები მერაბ მეტრეველი და თამაზ თევზაძე. მეტრეველი ამ დღეებში რუმინეთიდან დაბრუნდა, სადაც ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონის საკვალიფიკაციო მატჩებზე დელეგატად იყო გამწესებული. ახლა მას პოლონეთში იწვევენ ქალთა შორის ევროპის თასის მატჩებზე. თამაზ თევზაძე კი უნგრეთსა და რუმინეთში გაემგზავრება.

IRB

7

RUGBY WORLD CUP SEVENS 2001

ARGENTINA

## ბორჯღალოსნები შვიდკაცას მსოფლიო თასზე

*მასალა საქართველოს რაგბის კავშირიდან მოგვაწოდა ზაალ გიგინეიშვილმა. სტილი დაცულია*

***ცეცხლოვანი, ლელო-მრავალი და სახალისო***

შვიდკაცაა ბურთაობის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სახეობა, რომელშიც საქართველო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასულა. ეს შეჯიბრება ამ უქმეებზე არგენტინაში იმართება.

შვიდკაცას მსოფლიო თასი წელს მესამედ ტარდება. პირველს 1993 წელს უმასპინძლა შოტლანდიამ. „მელროუზის თასის“ ფინალში ინგლისმა 21:17 დაამარცხა ავსტრალია. 1997 წელს, ჰონკონგში, თასის ფინალში ფიჯმა 24:21 დაამარცხა სამხრეთ აფრიკა.

შვიდკაცა რომ მომრავლდა, ირბ-მა იაზრა და ზეპური ავტოსპორტის დარად, მათი განრიგი მოაწეს-

იხ. მე-2 გვ.

### მსოფლიოს თასი

| ა | ბ | გ | დ | თასზე ვერ მოხვდნენ: |
|---|---|---|---|---|
| ფიჯი | სამხ. აფრიკა | ახ.ზელად. | სამოა | ტონგა |
| არგენტინა | საფრანგეთი | ინგლისი | ავსტრალია | იტალია |
| კორეა | ქუქეთი | ზიმბაბვე | უელსი | პაპუასეთი |
| რუსეთი | კანადა | იაპონია | პორტუგალია | შოტლანდია |
| კენია | საქართველო | ჩილე | ჰონკონგი | მაროკო |
| ირლანდია | ტაივანი | ესპანეთი | აშშ | რუმინეთი |

# „სპარტაკი“ პირველია!


ხედი მეტეო-სადგურიდან

(პირველი გვერდიდან)

დენიმე რჩევა-დარიგება მისცა, თუმცა, ეს გაკვეთილი ისე დასრულდა, რომ ებრაელებს დილით ფეხსაცმლის ჩასაფენები, რომლებიც რატომღაც კარვიდან გამოყარეს, თბილად შენახვის ნაცვლად გაყინული დახვდათ.

მიუხედავად ამისა, პირველები 2001 წელს მწვერვალზე „ორწვერზე“ სწორედ ისინი გავიდნენ, მაგრამ მწვერვალის დალაშქვრა ვერ მოახერხეს. ქართულ-ებრაული ჯგუფის მეორე გასვლა შედეგიანი გამოდგა. პირველი ქართველი ალპინისტი, ახალ ათასწლეულში ვანო იმნაიშვილია — სწორედ იგი ავიდა პირველი „სპარტაკზე“.

ამასობაში კი ოთხეულს ექსპედიციის დანარჩენი წევრებიც შეუერთდნენ. მაგრამ ამინდი გაფუჭდა და ოთხი დღის მანძილზე ბიჭები მეტეოსადგურში თავშესაქცევი ისტორიების მოყოლით ერთობოდნენ, სხვათა შორის, თბილისში ვერ დაიკვეხნიან ისეთ საახალწლო სუფრას, როგორიც 13-14 იანვარს მეტეოსადგურში გაიშალა. ამისათვის თურმე ვანო იმნაიშვილი და ახალბედა ნიკა ლებანიძე ყაზბეგშიც კი ჩასულან. საღამოს სტუმრები ოთარ ჯაფარიძეს ებრაული ხალხური ცეკვებით, ორ გიორგის, ძაგნიძეს და ნონიკაშვილს კი ქართული ხალხური სიმღერებით გაურთიათ.

ნაახალწლევს ებრაელი სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ.

— ახლა რომ ვუყურებ, საკმაოდ სერიოზული სამუშაო ჩაგვიტარებია — ამბობს ზურაბ კუჭავა. ჩვენს სათვალავში 7 გასვლაა, მათ შორის ოთხი შედეგიანი.

— თუ არ ვცდები პირველები მწვერვალზე რვანი ავიდნენ კლასიკური მარშრუტით.

— 16 იანვარს, როცა ამინდმა მოგვცა ამის საშუალება, რვავე: გიორგი ძაგნიძე, ირაკლი სოხაძე, კოტე ფროლოვი, სოსო მგელაძე, ნიკა ლებანიძე, დიმა ლაპიაშვილი, დევი ბერძენიშვილი და ზურა ბადრიაშვილი მწვერვალზე გავიდნენ. ოდნავ მოგვიანებით ორი ღამისთევით ჯერ კიდევ გაუვლელი მარშრუტით „დაზვერვაზე“ წავედით ოთხნი. ჩემს გარდა ამ ჯგუფში ლევან ჩიქოვანი, შოთა კომახიძე და ვანო იმნაიშვილი იყვნენ.

● **ზურაბ, როგორც ვიცი, ამ მარშრუტის გავლას ადრეც ცდილობდი...**

— სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერც ადრე და ვერც ახლა შევძელით. ის გზა, რაც 3 წლის წინათ „ვიგულეთ“, ახლა ჩამოშლილი იყო.

● **კიდევ ორი შედეგიანი გასვლა არ გიხსენებია.**

— დიახ, ორწვერი წყვილში გაიარეს სოსო მგელაძემ და ნიკა ლებანიძემ. ისე, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 5-მა დამწყებმა ალპინისტმა ერთი საფეხურით ოსტატობა აიმაღლა. რაც შეეხება ბოლო, მეოთხე შედეგიან გასვლას ბანაკიდან — ორდღიანი მარშრუტით ჩვენ 19 იანვარს მყინვარწვერი მესამე კატეგორიის სირთულით ზამთრის პირობებში დავლაშქრეთ. მოკლედ, შემიძლია ვთქვა, რომ ექსპედიცია შედეგიანი იყო.

სხვათა შორის, სწორედ იმ დღეს, 19 იანვარს როცა ზურაბ კუჭავა ე.წ. „ზუბზე“, თითქმის 40°-იან ყინვაში ღამეს ათევდა, მას თბილისში ქეთევანი შეეძინა.

და კიდევ, ინფორმაცია განსჯისათვის ან უბრალოდ, მათთვის, ვისაც მთა, მხოლოდ პირველობისთვის უნდა (ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა) — მყინვარწვერის ამ ექსპედიციაში ბევრი ერთი დონის ალპინისტი იყო. საგულისხმოა, რომ როდესაც ჯერი კენჭისყრაზე მიდგა, თუ ვინ, რომელ მწვერვალზე წავიდოდა, ბიჭები კენჭისყრას არ ელოდებოდნენ — ისინი უფრო მომზადებულს ადგილს თავად უთმობდნენ.

**თამუნა ჯიშკარიანი,**
**ჟურნალისტი, მოყვარული მთამსვლელი.**

# ბორჯღალოსნები შვიდკაცას მსოფლიო თასზე

(პირველი გვერდიდან)

რიგა. ტურნირები „მსოფლიო სერიად“ შეკრა და ქულობრივი ჩათვლაც შემოიღო (თასი 20, 16, 12; სინი 8, 6, 4; ფიალა 2 ქულა).

საქართველომ პირველ სერიაში მხოლოდ სამ შეჯიბრებაში (დუბაი, სტელენბოსხი, პარიზი) იბურთავა და ჯამში მაინც X ადგილი გაიყო. არადა, აშშ და კიდევ ბევრი ქვეყანა სულ უქულოდ დარჩნენ.

ზელანდიამ და ფიჯმა ხუთ-ხუთი ტურნირი მოიგეს. ათი ტურნირიდან რვაში თასის ფინალი ამათი ჯახი გამოდგა. ზელანდიის სკიპერი, 35 წლის მაორი, ერიკ რაში იყო. სერიის საუკეთესო მელელოვე გახდა ფიჯელი ფინიმონე დელასაუ (81 ლელო).

***შეცვლილი გაგება.*** 1999 წლის დეკემბერში, სტელენბოსხში (კეიპტაუნის მხარე, დასავლეთი კონცხი, სამხრეთ აფრიკა) „ბორჯღალოსნებმა“ თასის ნახევარფინალს უწიეს (12 ქულა). ეს, არაბობოლა სარაგბო ქვეყნებიდან, მთელ სერიაში მეტი ვერავინ მოახერხა.

ქართველები შვიდკაცას 1988 წელს გაეცნენ. ბარემ სტადიონის დანგრევამდე ყოველწლიურად იმართებოდა „ვაკის შვიდკაცა“.

მაგრამ ჩვენებმა შვიდკაცას გემო მხოლოდ ბოლო წლებში გაუგეს. ეს ნაკრების ფრანგი გურუს, კლოდ სორელის დამსახურებაა. ამ სპეციალისტმა ჩვენებს რადიკალურად შეუცვალა თამაშის გაგება, თორემ უწინ ქართველები შვიდკაცას დიდი რაგბის ყაიდაზე თამაშობდნენ, რითაც მაყურებელს ძალიან ამხიარულებდნენ.

სორელის თაოსნობით საქართველომ 1998 წელს მოიგო ჰაიდელბერგის (გერმანია) და ლიუნელის (საფრანგეთი) შვიდკაცები.

1999 წელს ჩვენებმა ისევ იმარჯვეს ჰაიდელბერგში, ბენიდორმში (ესპანეთი) და იერუსალიმში კი თასის ფინალშიღა წააგეს.

2000 წლის სექტემბერში საქართველომ იერუსალიმში ფინალი 21:14 მოუგო აშშ-ს. მანამდე კი, ივნისში იყო ისევ ჰაიდელბერგი, მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი.

საქართველომ იქ ზედიზედ დაამარცხა საკლასიფიკაციო პულში — ჰოლანდია 29:0, უნგრეთი 50:0 და იუგოსლავია 57:0.

საკვალიფიკაციო პულში — შვეიცარია 27:0, ისევ ჰოლანდია — 45:7 და პოლონეთი 52:5.

ნახევარფინალში ირლანდია (!) 21:0 და მხოლოდ ფინალი წააგო წამატებულ დროში უელსთან 33:38.

**სამზადისი მსოფლიო თასისათვის.** მსოფლიო თასამდე ჩვენები II სერიის საწყის, დურბანისა და დუბაის ტურნირებში გახურდნენ. სორელმა ეს თამაშები ახალი ბიჭების გამოსაცდელად გამოიყენა. ქართველებმა ცხრიდან მხოლოდ სამი მატჩი მოიგეს და უქულოდ დარჩნენ.

ორივეგან იმარჯვა ზელანდიამ, ფინალებში მან ორივეჯერ ფიჯი დაამარცხა — 34:5 (დურბანში) და 38:12 (დუბაიში). ჰოდა, ჯერჯერობით ზელანდიის 40 ქულა აქვს, ფიჯს 32, ავსტრალიას 24, არგენტინასა და სამოას 18-18, აფრიკას 15 და ა.შ.

და მაინც, საერთაშორისო რაგბის მამებს კავკასიელთა ზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ამას ის მოწმობს, რომ ახალ სეზონში ჩვენები პირველად მიიწვიეს შვიდკაცის მექა ჰონკონგში, სადაც სერიის უმეტესი ტურნირებისგან განსხვავებით, შეჯიბრება სამდღიანი და 24-გუნდია და ქულებიც 50 პროცენტით მეტი რიგდება.

***მასპინძელი მარ დელ პლატა.*** III თასს მასპინძლობს ბუენოს-აირესიდან სამხრეთით, 40 წუთის საფრენზე გაშენებული ჭრელი ქალაქი. მარ დელ პლატა, ესაა ნახევარ მილიონიანი კურორტი. ზაფხულში (დეკემბერ-თებერვალი) მისი მოსახლეობა სამმაგდება. 15 კილომეტრა პლაჟებზე ჰყავის ღამის ბოჰემა და ქალაქშიც ხუთი გოლფ-კლუბია.


IRB-ის ჟურნალ „ოვალ ვორლდის“ ფოტო

35-ათასა სტადიონი, „ხოსე მარია მინელა“ 1978 წლის ფეხბურთის მსოფლიო თასისათვის ააშენეს; 1995 წელს მასზე გაიმართა პანამერიკული თამაშები. იმავე წლიდან ეწყობა შვიდკაცა. მასზე სამჯერ იპირველა ზელანდიამ, მაგრამ შარშან, სერიის ტურში, ფიჯმა იყოჩაღა.

***სისტემა.*** მსოფლიო თასზე 24 გუნდი მონაწილეობს. არგენტინა და II თასის უკეთესი რვაეული შეურჩევლად დაუშვეს. დანარჩენი 15 მონაწილე კი ექვს ზონაში გამოვლინდა (ევროპაში ორი ზონა იყო).

მარ დელ პლატაში პარასკევ-შაბათს ოთხ 6-გუნდა პულში თითო წრე გაიმართება.

კვირას შეჯიბრება გავარდნით გაგრძელდება. უკეთესი რვაეული სამ წრედ გაითამაშებს თასს, შუათანა სინს (IX ადგილი), ხოლო მაჩანჩალა ფიალას (XVII ადგილს).

ამგვარი მრავალ-ჯილდოიანობა ბურთაობათა შორის მხოლოდ შვიდკაცას ახასიათებს. ამით რაგბის სამყარო სამართლიანად ამაყობს!

***განრიგი.*** საქართველოს საზამთრო და არგენტინის საზაფხულო დროებს შორის სხვაობა მხოლოდ ექვსი საათია. შვიდკაცობა მარ დელ პლატაში სამივე დღეს ჩვენებურად გვიან ღამით დაიწყება და დილის ექვს საათამდე გაგრძელდება. თამაშები 20 წუთის ინტერვალით იწყება. პირველსა და მეორე დღეს 30-30 მატჩია, ბოლოს კი მხოლოდ 21. მაგრამ სამი 20-წუთა ფინალი კი!

„ბორჯღალოსანთა“ განრიგი ასეთია (ჩვენი თარიღითა და დროით):

პარასკევს (26 იანვარს) $23^{20}$ საფრანგეთი;

შაბათს (27 იანვარს) $03^{20}$ ტაივანი; $20^{00}$ კანადა; $22^{40}$ სამხ. აფრიკა $22^{00}$;

კვირას (28 იანვარს) $02^{40}$ კუკეთი. კვირასვე 22 საათზე იწყება გავარდნით თამაში. და თუ საქართველო თავის მეოთხედფინალს მოიგებს, ორშაბათსაც (29 იანვარს) გააგრძელებს შეჯიბრს.

***მოშვიდკაცე ბორჯღალოსნები.*** კლოდ სორელმა, მეორე მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა და მენეჯერმა ზაზა ლეჟავამ სათასოდ შეარჩიეს შემდეგი ათეული:

**ფორვარდები.** №7 გია ლაბაძე (კაპიტანი, 28 წლის — დიდი რაგბის 18 ბორჯღალი), №2 ვასილ კაცაძე (25-13), №1 ბესიკ ხამაშურიძე (24-12) და №10 არჩილ ქავათარაშვილი (28-18).

**ბეკები.** №4 ვასილ აბაშიძე (23-8), №5 პალიკო ჯიმშელაძე (26-19), №6 თედო ზიბზიბაძე (21-4), №3 ბადრი ხეხელაშვილი (23-8), №9 მიხო ურჯუკაშვილი (21-11) და №8 გიო ბუგიანიშვილი (27-10).

გუნდი საკმაოდ გამოცდილია და ამბიციურიც. ჩვენმა ბიჭებმა შვიდკაცაობა ნაღდად იციან. აკი უცხოელი რაგბზე მწერლები ბოლო ხანს ბოლომიანად აღიარებენ, ესაო და ვეება ქართველებმა სიჩაუქით დაგვჯაბნესო.

და მაინც, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იღბალზე, აქ ბურთის უკუღმა ახტომას, სალელოე პასის ჩაჭრას, ტრავმებსა და ეგეთ რამეებს ვგულისხმობთ.

ისე კი, თუ ქართველები თასის მეოთხედფინალში გავლენ, ან სინს, ან თუნდაც ფიალას გამოკრავენ ხელს. სადაც სამართალია, მათ აქაურმა მედიამ ქება არ უნდა დაამადლოს.

***მეტოქეები და სერევი.*** პულში ტაივანი ჩვენი ჯუფთი ვერაა. კუკეთს (მუღლოზანზარი) ეხერხება ლაღი ბურთაობა, მაგრამ ჩვენებს ჭკუით ჩამოუვარდება, თუმცა კი კაციჭამიური ინსტინქტი ჭარბად მოსდევს.

კანადა ძლიერია და კერკეტი კაკალიც. ჩვენ გვჯობს მარტო გამოცდილებითა და ინგლისელობით (?!)

საფრანგეთმა საშვიდკაცოდ დიდი რაგბის ნაყარ-ნუყარი ძლივს გაიმეტა, თუმცა კი მისი არგენტინული რაზმი შვიდკაცაზე სპეციალდება.

სამხრეთ აფრიკას ზანგი ნორმან მბიკო თავკაცობს. ეს წმინდად პოლიტიკური ჟესტია. გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდნენ ექს-სუპერ-ვარსკვლავი იუსტ ფანდერვესტჰეიზენი და გამრჯე ანდრე ფენტერი. სამაგიეროდ ეყოლება 2000 წლის ქვეყნის საუკეთესო მორაგბე, ჩიკორი მულატი ბრეიტონ პოლსე, უბერებელი ზანგი ჩესტერ უილიამზი და თვით შერკინების „სპაისი“, მუხლმორჩენილი ვუნდერკინდი ბობი სკინსტადი.

ფავორიტი კი მაინც ახალი ზელანდიაა (მწვრთნელი გორდონ ტიეჩენსი). კაპიტანი ერიკ რაში, ჯონა ლომუ, ამასიო ვალენსი, კარლ ტენანა, ბრედ ფლემინგი, როჯერ რენდლი — ლამის უძლეველი ანსამბლია.

ლამის იმიტომ, რომ არის ფიჯი და მისი ლიდერი, ყველა დროის საუკეთესო მოშვიდკაცე ***ვაისალე სერევი.*** ამ ჯადოქარს ნებისმიერი შავი ძალის გაბითურება ხელეწიფება.

# სრულიად სომეხთა თამაშები

**მაგრამ მასში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისაც სომხური სისხლი ურევია**

1997 წლის 30 აპრილს, ერევანში საზეიმოდ გამოცხადდა სრულიად სომეხთა თამაშების ჩატარების შესახებ. წლეულს ეს სპორტული ფორუმი მეორედ ჩატარდება, ცხადია, აპრილში. მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია, მაგრამ საინტერესოა თამაშებში დაშვების წესი. გთავაზობთ ამონაწერს დებულებიდან. თამაშებში მონაწილეობის უფლება აქვს სომხეთის ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნებისა, თუ მას გააჩნია ამ ქვეყნის პასპორტი. სხვა ქვეყნის მოქალაქეები კი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნას:

– არის სომეხი დედით ან მამით;
– არის სომეხი მამით;
– არის სომეხი მხოლოდ დედით და შესაბამისად არ აქვს სომხური გვარი;
– მეუღლეები, რომლებმაც ქორწინების შემდეგ მიიღეს სომხური გვარი.

პროგრამაში შედის ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, ჭადრაკი.

მომავალში პროგრამას შეიძლება დაემატოს სპორტის ახალი სახეობა თუ მონაწილეთა რაოდენობა იქნება არანაკლებ ათი ქალაქისა ხუთი ქვეყნიდან. თამაშებში მონაწილეობა ფასიანია. ამასთან, ორგანიზატორები პასუხს არ აგებენ თამაშების პერიოდში შესაძლო ტრავმების, უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის გამო. სპორტსმენები, როგორც დებულებაშია ჩაწერილი, საკუთარი რისკით და პასუხისმგებლობით მონაწილეობენ თამაშებში.

# 2000 წლის საუკეთესონი აჭარაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძე. შემდეგ მოდიან: გენადი ჩხაიძე, ბ/რ ჭიდაობა, ხათუნა ფუტკარაძე — მშვილდოსნობა, რუსლან რუსიძე — მძლეოსნობა, ასმათ დიასამიძე — მშვილდოსნობა, გაგა ბოლქვაძე — კრივი, ელიზბარ მაჭუტაძე — ბ/რ ჭიდაობა, ოთარ ფევაძე — ბ/რ ჭიდაობა, რამაზ დევაძე — ბ/რ ჭიდაობა, ვანდა კერესელიძე — მხატვრული ტანვარჯიში.

***ათი საუკეთესო მწვრთნელი.*** გოდერძი ბოლქვაძე (სიკვდილის შემდეგ) — ბ/რ ჭიდაობა, ილია ტუღუში — ბ/რ ჭიდაობა, თამაზ ფუტკარაძე — მშვილდოსნობა, კარლო გიორგაძე — მძლეოსნობა, გელა ჯანელიძე — ბ/რ ჭიდაობა, ზურაბ ტომარაძე — კალათბურთი, ბიჭიკო საფარიძე — ფარიკაობა, ზაზა ჯიბლაძე — ბ/რ ჭიდაობა, გიორგი სარხოიანი — მაგიდის ჩოგბურთი, ნიკოლოზ ბარამიძე — ბალახის ჰოკეი.

***საუკეთესო გუნდები.***

„ბასკო“ (ბათუმი) — კალათბურთი (ვაჟები), „კოლეჯი“ (ბათუმი) — ბალახის ჰოკეი (ქალები), აჭარის ფრენბურთელთა ნაკრები (ვაჟები).

***საუკეთესო სპორტკომიტეტი***

ხელვაჩაურის რაიონი

წლის ლაურეატები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ოთარ მურვანიძე**

# მცხეთა-თიანეთის რჩეულნი

***„ლელოს“ ტრადიციული ნომინაციების მიხედვით, როგორც ადრე გაუწყეთ, საქართველოს მხარეებს შორის საუკეთესოდ დასახელდა მცხეთა-თიანეთის მხარე, რომელმაც 2000 წელს თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სპორტულ მუშაობაში. ახლა მივიღეთ ცნობა, რომ გამოავლინეს მხარის 2000 წლის ლაურეატები.***

ესენი არიან:

***სპორტსმენებს შორის***

1. ივერი ჯიქურაული (ძიუდო), 2. არჩილ ჩოხელი (სამბო), 3. ლეილა ცალუღელაშვილი (ჭადრაკი).

***საუკეთესო გუნდები***

1. სოფ. ძალისის ქართული ჭიდაობის ნაკრები გუნდი, 2. დუშეთის მინიფეხბურთელთა გუნდი „სტადიონი“, 3. ყაზბეგის მეკლდეურთა გუნდი.

***საუკეთესო მწვრთნელები***

1. ჯემალ ნათელაშვილი, 2. მიხეილ კაზალიკაშვილი.

ქართული ჭიდაობა

# ტურნირი თერჯოლაში

თერჯოლაში ტრადიციულად ტარდება წარსულში ცნობილი მოჭიდავისა და მწვრთნელის, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ვიტალი გაბიანის ხსოვნის ტურნირი. 2000 წლის ტურნირიც, ჩვეულებრივ, მონაწილეთა მხრივ შთამბეჭდავი გამოდგა.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფებს შორის ჩატარდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ქუთაისელებმა თემურ მანაგაძემ, ნიკა ხელაიამ, ლევან გულუამ, კახა ჯანგავაძემ, ლაშა მეგრელიშვილმა, ავთანდილ ცუცქირიძემ, ერეკლე კოპალიანმა, ჭაბუკი ნიკურაძემ, გელა ბეჭვაიამ, ზესტაფონელებმა – ირაკლი დვალმა, პაატა ჯაფარიძემ, დავით ჩაჩანიძემ, გიორგი მაღლაკელიძემ, ვალერი ჩუბინიძემ, ონელმა მანუჩარ გავაშელმა, ჭიათურელმა ფრიდონ მოდებაძემ, თერჯოლელებმა პავლე ჯანგიანმა, თემურ ყიფიანმა და დავით ბებიაშვილმა.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო ვიტალი გაბიანის ვაჟმა, რომელმაც 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა.

**ჰენრი შარიძაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

## იბერა-თანამეგობრობა-2001

# ქუთაისელებმა ქართულ ფეხბურთს პრესტიჟი აღუდგინეს

### გაისად უმაღლეს ლიგაში უკრაინასა და ტაჯიკეთს საქართველო და სომხეთი შეენაცვლებიან

*სამშობლოში რომ თავაწეულები ჩამოსულიყვნენ, ტორპედოელებს ეს მატჩი არ უნდა წაეგოთ, მათ ფრეც ხელს აძლევდათ და, ჰყი, ბევრს ეგონა, ყიფიანი-ძოძუაშვილის ტანდემი ფრთხილ სათამაშო ტაქტიკას აირჩევდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, ისევე როგორც წინა შეხვედრებში, ქუთაისელები აგრესიულად, დიდი იმპროვიზაციითა და აღმაფრენით გაისარჯნენ.*

*23 იანვარი. „სპარტაკის“ სპორტკომპლექსი. 600 მაყურებელი*

**ტორპედო (ქუთაისი) — დუსტლიკი (ტაშკენტის ოლქი) 3–0**

ტორპედო: ზოიძე, არჩვაძე (ჯინჭარაძე, 28), სილაგაძე, ხვადაგიანი, თოდუა, დიდავა (მახვილაძე, 80), ქემოკლიძე, გუჩუა, ასათიანი (გვირჯიშვილი, 77), იონანიძე (ბაბუნაშვილი, 77), აშვეთია (იმედაძე, 71).

დუსტლიკი: ბელიაკოვი, შამურადოვი, ხვოსტუნოვი, აშურმატოვი, სობიროვი, ახმეროვი (ნი, 65), ყურბანოვი (სეიტკამალოვი, 72), დავლეტოვი, სოლიევი, საიდაროვი (გაფუროვი, 46), ისაკოვი.

გოლები: აშვეთია (47), იონანიძე (69), ასათიანი (75).

გააფრთხილეს: აშურმატოვი (40)

გააძევეს: იმედაძე (74), აშურმატოვი (74)

მსაჯი: ნალბანდიანი (სომხეთი)

*23 იანვარი*

**A ჯგუფი**

***სპარტაკი — ვარზობი 4-1***

0-1 ხამიდოვი (2), 1-1 მარკაო (21), 2-1 ირისმეტოვი (53), 3-1 ტიტოვი (76), 4-1 მარკაო (79).

***სლავია — კაუნასი 4-3***

0-1 ველიჩკა (35), 1-1- სტრიპეიკისი (52), 2-1 ვასილიუკი (63, პენ.), 2-2 პუოტკალისი (72), 3-2 ლუკაშენკო (81), 4-2 სტრიპეიკისი (83) 4-3 კანჩელსკისი (90)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სპარტაკი** | **3** | **3** | **0** | **0** | **9-2** | **9** |
| **სლავია** | **3** | **1** | **1** | **1** | **6-7** | **4** |
| კაუნასი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| ვარზობი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

**B ჯგუფი**

**ზიმბრუ — დინამო 2-2**

1-0 მიტერევი (26), 1-1 ფიოდოროვი (33), 1-2 ბელკევიჩი (63), 2-2 სტავილა (77)

**კოპეტდაღი — სკონტო 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სკონტო** | **3** | **1** | **3** | **0** | **3-2** | **5** |
| **კოპეტდაღი** | **3** | **1** | **2** | **0** | **3-2** | **5** |
| ზიმბრუ | 3 | 0 | 2 | 1 | 5-6 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |

**C ჯგუფი**

**ჟაშტიკი — შამქირი 0-6**

რზაევი (15, 86 პენ., 88 პენ.), მამედოვი (65), კულიკოვი (69), ყურბანოვი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | **3** | **3** | **0** | **0** | **7-2** | **9** |
| შამქირი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-3 | 4 |
| დუსტლიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-4 | 4 |
| ჟაშტიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-16 | 0 |

**D ჯგუფი**

**ლევადია — არაქსი 2-2**

0-1 არუთინიანი (4), 1-1 ბრაგინი (42), 2-1 რიჩკოვი (64, პენ.), 2-2 აკოფიანი (88).

**რუსეთის ახ. ნაკრები — ქენისი 2-1**

1-0 პავლიუჩენკო (49), 2-0 როდინი (63), 2-1 აქიონოვი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-5 | 9 |
| **არაქსი** | **3** | **1** | **1** | **1** | **6-6** | **4** |
| ლევადია | 3 | 0 | 2 | 1 | 5-7 | 2 |
| ქენისი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |

***ამრიგად, თანამეგობრობა-2002-ში უმაღლეს ლიგაში უკრაინისა და ტაჯიკეთის ჩემპიონებს საქართველოსა და სომხეთის გუნდები შეცვლიან.***

*24 იანვარი*

***სლავია — სკონტო 1-3***

ალექსანდრე რეხვიაშვილმა (სკონტო) საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო

***სპარტაკი — კოპეტდაღი 2-0***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| სკონტო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| კოპეტდაღი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| სლავია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

***დღეს, 26 იანვარს ერთმანეთს ხვდებიან სლავია — კოპეტდაღი და სპარტაკი — სკონტო. 28 იანვარს ფინალური მატჩი გაიმართება.***



# მიხეილ აშვეთია: საქართველოში იმიტომ დავბრუნდი, ნაკრებში თამაში მინდა

**შარშანდელი სეზონი მიხეილ აშვეთიამ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გაატარა: თბილისის „დინამოსა“ და ოსური კლუბის გარიგებით, იგი 2002 წლის ბოლომდე იჯარით გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში. მიუხედავად ამისა, ქართველი ლეგიონერი ორიოდე კვირის წინათ ქუთაისის „ტორპედოში“ გამოჩნდა, თანამეგობრობა-2001-ში ქართული კლუბის ღირსებას იცავდა, მოსკოვში, ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში მან სამივე მატჩი ითამაშა, სამაგალითოდ გაისარჯა და ოთხჯერ აიღო მეტოქის კარი.**

**„ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვისა და მიხეილის შეხვედრა „დუსტლიკთან“ მატჩის შემდეგ მოხდა.**

● ***ძალიან ბევრმა თქვენი გამოჩენა ქუთაისელთა გუნდში სიურპრიზად აღიქვა, როგორ დაალწიეთ თავი „ალანიას“? მისი ხელმძღვანელობა ხომ დისკვალიფიკაციით გემუქრებოდათ?***

— გაკვირვებული ვარ, „ალანიაში“ ხომ იჯარით ვიყავი, ხოლო ქუთაისურმა კლუბმა თბილისის „დინამოსაგან“ იყიდა ჩემი ტრანსფერი.

● ***ქუთაისში გადასვლით, ხომ არ თვლით, რომ თქვენს კარიერაში უკან დაიხიეთ?***

— რატომ, ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდი არც თუ ისე ხელწამოსაკრავია, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ და ეს ლიტონი სიტყვები არაა. თუ უნდოდა „ალანიას“ ვლადიკავკაზში მეთამაშა, რატომ არ გამოისყიდეს მისმა ხელმძღვანელობამ ჩემი კონტრაქტი, ისე, როგორც ეს „ტორპედომ“ გააკეთა?

სულაც არ ვფიქრობ, რომ ქუთაისში გადასვლით ჩემს კარიერას ვავნე. პირიქით, ამ კლუბში საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი მწვრთნელი მუშაობს, ესე იგი, შანსი მაქვს მოვხვდე ეროვნულ გუნდში, ხოლო იქიდან მეტი შესაძლებლობაა კარგ საზღვარგარეთულ კლუბში ჩავირიცხო.

● ***როგორ მოგეწონათ „თანამეგობრობა-2001“?***

— საკმაოდ პრესტიჟული ტურნირია, თუმცა, დახურულ დარბაზში და ხელოვნურსაფარიან მინდორზე გვიწევდა თამაში. ცხადია, ამ შეჯიბრებაში გუნდები სხვადასხვა ლოკალურ ამოცანას წყვეტდნენ. მოხარული ვარ, რომ სამივე შეხვედრა მოვიგეთ და გაისად საქართველოს ჩემპიონი უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. ამით ქართული ფეხბურთის პრესტიჟიც აიწევს.

# მერაბ ჟორდანია: სფფ-ს იმიჯი სულ უფრო იზრდება....

*(პირველი გვერდიდან)*

ღებს, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის. უეფას წარმომადგენლობებს შევხვდი და ვესაუბრე გრანტებთან დაკავშირებით, ვუთხარი თუ რა სტადიაშია სფფ-ს ოფისისა და ნაკრების ბაზის აშენების საკითხი. მოსკოვში პირისპირ ვესაუბრე ბლატერს კოლოსკოვთან ერთად და მისგან ყოველწლიური დახმარების მიღების გარანტია მივიღე, რაც 4 წლის განმავლობაში მილიონ დოლარს უტოლდება. ასევე იგი დამატებით, ნაკრების ბაზის ასაშენებლად 2002 წლის ბოლომდე 400.000 დოლარს შეგვპირდა. თებერვალში უეფას პროგრეს-კურსები გაიმართება თბილისში, საფეხბურთო მეურნეობის ადმინისტრაციული მოწყობის თემაზე. ტელეფონით ვესაუბრე გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და მათთან შეთანხმებით, 17-23 თებერვალს, 17 წლამდელთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებას გაივლის და რამდენიმე საკონტროლო მატჩს ჩაატარებს გერმანიაში. სფფ ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებთან, ამის კიდევ ერთი დასტური კი სფფ-ს პრეს-ატაშეს მამუკა კვარაცხელიას უეფას მედია-ოფიცრობა გახლავთ. მივესალმები ბატონ გივი ნოდიას დაბრუნებას საქართველოში, იგი ალბათ აქტიურად ითანამშრომლებს მწვრთნელთა საბჭოშიც, მისი შეხედულებები გასათვალისწინებელია. მადლობა რკინიგზის დეპარტამენტს, ბატონ აკაკი ჩხაიძეს, რომელმაც გრიგოლეთის ბაზა ქართულ ფეხბურთს და გუნდს შეუნარჩუნა.

კახა კალაძის მილანში გადასვლა ქართული ნიჭის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ეს ნაკრების შემდგომი წინსვლის საწინდარია.

კალაძის ტრანსფერიდან „დინამოს“ წილის თაობაზე მერაბ ჟორდანიამ შემდეგი განაცხადა: „ამ ეტაპზე აუცილებელია „დინამოს“ რეგისტრაცია. ამჯერად ამ ფაქტის არც დასტური, არც უარყოფა არ შემიძლია, როგორც კი რეგისტრაციის საკითხი გაირკვევა, პირობას ვდებ, რომ თბილისისა და კიევის დინამოელთა ხელმძღვანელებს შევახვედრებ. შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ბატონი კახა თარგამაძე დაინტერესდა საკითხით და გაგებით ეკიდება შექმნილ ვითარებას. საერთოდ, საჭირო იყო უფრო სწრაფი, პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა, ალბათ თვის ბოლომდე საკითხი მოგვარდება“.

***კალაძის კონტრაქტის***

***თაობაზე:*** „კონტრაქტის ყველა დეტალი ვიცი, ფეხბურთელის ყველა პირობები და ნაკრების მატჩებში მისი მონაწილეობის საკითხები გათვალისწინებულია. კონტრაქტის თანხის რაოდენობა ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ“.

სფფ-ს გენერალური სპონსორის თაობაზე დასმულ შეკითხვას მ. ჟორდანიამ ასე უპასუხა: „3-4 ქართულ კომპანიებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ურთიერთობა გვაქვს უცხოურ ფირმებთანაც. მაგრამ მათ ვინაობას ჯერ არ გავამხელ“.

„ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა მირჩია, რომ საფეხბურთო ოჯახში მოსარიდებელი არაფერია და „სოლიდარობის“ პრინციპის დაცვით უფრო მდიდარი ფედერაციებიდან თანხების მოზიდვა და მათთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა სავსებით მიღებული და გამართლებულია. ჩემი მხრიდან დავძენ, რომ განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს რუსეთის, უკრაინის და გერმანიის ფეხბურთის ფედერაციებთან.

პრესკონფერენციის ბოლოს პრეზიდენტი ისევ „დინამოს“ საკითხს დაუბრუნდა. „ვალის გადახდისთვის თქვენთვის ცნობილი თარიღი ბოლო ვადაა 12 თებერვალი. თუ თვის ბოლომდე „დინამო“ სამართალსუბიექტი გახდება, თანხის დაფარვის რეზერვებიც გამოინახება“.

პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ ნაკრების მატჩებზეც ილაპარაკა და მასმედიას უკრაინის ნაკრებთან მატჩისთვის გამოძახებული 21 ფეხბურთელის ვინაობაც გააცნო.

***მეკარეები:*** დავით გვარამაძე (სკონტო), ირაკლი ზოიძე (ტორპედო); ***მცველები;*** გიორგი ნემსაძე, (დანდი), კახა კალაძე (მილანი), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი), ზურაბ ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე (ყველა — ტორპედო). ***ნახევარმცველები:*** გოჩა ჯამარაული (ციურიხი), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე — სკონტო), თენგიზ სიჭინავა (დინამო, თბ), მალხაზ ასათიანი (ტორპედო); ***თავდამსხმელები:*** შოთა არველაძე (აიაქსი), არჩილ არველაძე (კიოლნი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი), მიხეილ აშვეთია (ტორპედო).

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალ წლისა და ახალი ათასწლეულის დადგომას ულოცავს წარსულში ცნობილ თანამედროვე ხუთჭიდელს, ამჟამად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენს, ჩვენს თანამემამულეს ***ვალერიან (სულიკო) როგავას*** და მადლობას უხდის იმ სისტემატური მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რასაც იგი იჩენს სფფ-ს მიმართ, მთელი რიგი საკითხების მოსკოვში ოპერატიულად მოგვარებაში.

## უეფას პროგრეს-კურსები თბილისში

6-7 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას ჩინოსნები ეწვევიან. ევროპული ფეხბურთის უმთავრესი ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწე მარკუს შტუდერი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს თავმჯდომარე ერიხ ეპლე სფფ-ს ჩინოსნებს, კლუბების პრეზიდენტებს, ვიცე-პრეზიდენტებს და მენეჯერებს ადმინისტრაციულ პროგრეს-კურსებს ჩაუტარებენ. კურსები ორდღიანია: ლექციათა თემატიკა კი მრავალფეროვანი — უეფას ახალი სტრუქტურა, ფეხბურთელების ტრანსფერების საკითხებზე ფიფას, უეფას და ევროკავშირის მოლაპარაკებები, კლუბების ლიცენზირება, კლუბების ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომლობა უეფასთან, ეროვნულ და ადგილობრივ ფედერაციებთან, ეროვნული ფედერაციის სტრუქტურა, კომიტეტების რაოდენობა და საშტატო განრიგი. ლექციებთან ერთად გაიმართება დისკუსიები სხვადასხვა საკითხზე.

უეფას წარმომადგენლების პროგრეს-კურსებს ქართველთა მხრიდან დაესწრებიან და ლექციებს მოისმენენ სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და სფფ-ს კომიტეტების თავმჯდომარეები და თანამშრომლები, უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების ხელმძღვანელები, რეგიონული ფედერაციების პრეზიდენტები. პროგრეს-კურსები სასტუმრო „თორში“ ჩატარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდელები ფეხბურთის აღორძინებაზე ფიქრობენ

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ლაზიკა“ ჩამოყალიბდა 1995 წელს — დამფუძნებლები — გ. კანკია, გ. ჯიქია და ნ. ნიჟარაძე, რომელთა აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან ყველა ასაკობრივი ჯგუფის ტურნირებში. ჭაბუკებით დაკომპლექტებული „ლაზიკა“ გამოდის ეროვნული ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში. I წრეში 11 თამაშიდან 25 ქულით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფება, ბურთების შეფარდება 40:18, აღსანიშნავია, რომ მათ ყველა გასვლითი შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს. რეგიონული ლიგის ბომბარდირები 17 და 16 გატანილი ბურთებით, შესაბამისად არიან გია თოდუა და ლექსო ლიპარტია. მწვრთნელთა აზრით, ორივე საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია. „ლაზიკამ“ საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტედ ფინალამდე მიაღწია, მას გზა ქვეყნის ჩემპიონმა — ქუთაისის „ტორპედომ“ გადაუკეტა. როგორც გუნდის პრეზიდენტმა გ. კანკიამ განაცხადა, გუნდს გააჩნია საკუთარი საწვრთნელი ბაზა, ჰყავს საკუთარი ავტობუსი, გუნდს ემსახურება ექიმი. ისინი მიზნად ისახავენ 2-3 წელიწადში უმაღლეს ლიგაში გამოსვლას. გუნდს მხარში უდგანან ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ ჯგუშია და ქალაქის გამგებელი თემურ ჯგუშია. როგორც ჩვენთან საუბარში გაირკვა, ძმები ჯგუშიები ზუგდიდში ფეხბურთის აღორძინებაზე ფიქრობენ.

გუნდის მთავარი მწვრთნელია ბესო შეროზია, მწვრთნელი — როინ ტიბუა გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ბესო შეროზიასთან.

● ***როგორ იწყებოდა თქვენი, როგორც ფეხბურთელისა და მწვრთნელის ცხოვრება?***

— წლების განმავლობაში ვთამაშობდი ფეხბურთს წალენჯიხის „სქურში“, ზუგდიდის „ენგურში“ და „ოდიშში“. 1987 წლიდან მწვრთნელი ვარ. სხვადასხვა წლებში ვწვრთნიდი ზუგდიდის „შევარდენს“, „ზდე“-ს, დინამო-2“-ს „ოდიში 2“-ს, „მეგრს“. შარშან ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „მეგრი“ რეგიონულ ლიგაში მესამე ადგილზე გავიდა, ახალი სეზონიდან „ლაზიკაში“ გადავედი.

● ***ახლანდელ შეგირდებზე რას იტყვით?***

— გუნდი დაკომპლექტებულია პერსპექტიული ფეხბურთელებით, საშუალო ასაკი 18 წელია, თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ, ბუნებრივია, გასაკეთებელიც ბევრი გვაქვს. გუნდი მზადებას შეუდგა 25 იანვარს, შეკრებას გავივლით ზუგდიდში. საკონტროლო თამაშებს ჩავატარებთ უმაღლესი და I ჯგუფის გუნდებთან.

● ***მსაჯობაზე რას იტყვით?***

— კმაყოფილი ვარ, მადლობას ვუხდით ფეხბურთის რეგიონალურ ფედერაციას.

**ბელა ნაჭყებია,**
**ზუგდიდი, „ლელოს“ საკ. კორ.**

# მსაჯთა ხსოვნის ტურნირი

ადრეც ვიუწყებოდით, რომ თებერვლის დასაწყისში, კონკრეტულად კი, 1-5 თებერვალს ასკ- სპორტულ კომპლექსში ჩატარდებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული, ტრადიციული მსაჯთა ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში.

შეჯიბრებაში, რომელიც საფეხბურთო სეზონისთვის მსაჯთა მომზადების ერთ-ერთი ეტაპია და ამასთანავე ქართული ფეხბურთის მსაჯთა კორპუსის ჩინებულ წარმომადგენელთა სახელის გახსენებას ემსახურება, მონაწილეობას რვა გუნდი მიიღებს. ისინი ორ ჯგუფში ასე განაწილდნენ:

***ა ჯგუფი*** — თბილისი 1, იმერეთი, ქართლი, სამეგრელო

***ბ ჯგუფი*** — მასმედია, თბილისი 2, სფფ, აფხაზეთი

ტურნირის მთავარი მსაჯია ფიფას არბიტრი კარლო ყრუაშვილი.

მონაწილეებს, წარჩინებულ მოთამაშეებს და გამარჯვებულ გუნდს გადაეცემათ ქართველ მსაჯთა სხვადასხვა თაობის შესანიშნავი წარმომადგენლების სახელობითი პრიზები.

გთავაზობთ ტურნირის კალენდარს.

***1 თებერვალი***

10.00 თბილისი 2 — აფხაზეთი
11.00 მასმედია — სფფ
12.00 იმერეთი — სამეგრელო
13.00 თბილისი 1 — ქართლი

***2 თებერვალი***

ქართლი — იმერეთი
სამეგრელო — თბილისი 1
აფხაზეთი — მასმედია
სფფ — თბილისი 2

***3 თებერვალი***

14.00 იმერეთი — თბილისი 1
15.00 ქართლი — სამეგრელო
16.00 მასმედია — თბილისი 2
17.00 აფხაზეთი — სფფ

***4 თებერვალი, ნახევარფინალები***

13.00 ა I — ბ II
14.00 ბ I — ა II

***5 თებერვალი***

14.00 თამაში III ადგილისათვის
15.10 ფინალი

*შენიშვნა: პირველი ციფრი მატჩების დაწყების დროა.*

*დაინტერესებულმა პირებმა ინფორმაციისათვის მიმართეთ სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს — ტელ.: 96-07-87.*



# ბავშვთა ფეხბურთი

# ჭაბუკთა 25 გუნდი ერთ ტურნირში



*მწვრთნელები გია საყვარელიძე და მალხაზ მდინარაძე შეგირდებთან*

*ლევან საყვარელიძის ფოტოები*

2000 წლის 26 დეკემბერს დაიწყო და 2001 წლის 13 იანვარს დამთავრდა ზესტაფონის რაიონის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი ფეხბურთელის თომა სხილაძის ხსოვნის რაიონის ტრადიციული ღია პირველობა მინიფეხბურთში. ამჟამად გათამაშებაში მონაწილეობდა 1989-90 წლებში დაბადებულთა 6, 1986-87 წლებში დაბადებულთა 10, და 1985-86 წლიანთა 9 გუნდი. უმცროსთა შორის პირველობა და თასი დაისაკუთრა „ინტერმა“ (მწვრთნელი მამუკა ჩუბინიძე), მეორე ადგილზე გავიდა „არწივი“ (მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე), მესამეზე — „შევარდენი“ (მწვრთნელი გია საყვარელიძე). საგანგებო პრიზებით დაჯილდოვდნენ მეკარე აჩიკო ენუქიძე, მცველი დათო ტაბატაძე, ნახევარმცველი მურმან კვარაცხელია, თავდამსხმელი მიშიკო ბარაბაძე, ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი დათო წიწილაშვილს გადაეცა, ბომბარდირისა — რობიკ ბოკოვს. პერსპექტიული ფეხბურთელების პრიზები მიიღეს ჯაბა ფუტკარაძემ და გიორგი ჯოხაძემ.

1987-88 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა პაექრობაში ყველას აჯობა „ლომისმა“ (მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე), მეორე იყო „პიონერი“ (მწვრთნელი ამირან ქეჟინაძე), მესამე — „იუვენტუსმა“ (მწვრთნელი მამუკა ჩუბინიძე). საუკეთესონი იყვნენ: მეკარე თამაზ ბიწაძე, მცველი შავლეგ მაღლაკელიძე, ნახევარმცველი ავთო თავაძე, თავდამსხმელი ნოდარ გუნიავა.

ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი მიიღო კახა გოცაძემ, ბომბარდირისა — ომარ ენუქიძემ.

პრიზები მიიღეს აგრეთვე ნიკა ცერცვაძემ, დათო ჭუმბურიძემ, ვახტან წითელაშვილმა, გიორგი ხარატიშვილმა, თემურ ჯოხაძემ, მამუკა სვიანაძემ, გაგა გავაშელაშვილმა, გაგა ფერაძემ, ზაზა ლუტიძემ, გაგა კენჭოშვილმა, გიორგი ლაბაძემ, ლომერ ფუტკარაძემ.



*მიშიკო ბარაბაძეს აჯილდოებს მთავარი მსაჯი მამუკა ჩუბინიძე*

1985-87 წლებში დაბადებულთა შორის უძლიერესის სახელი და თ. სხილაძის გარდამავალი თასი მოიპოვა „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლის გუნდმა „მარგვეთმა“ (მწვრთნელი გურამ მაზმიშვილი). მეორე საპრიზო ადგილი ხვდა „მეტალურგის“ მოსამზადებელი ჯგუფის გუნდ „მილანს“ (მწვრთნელი მამუკა ჩუბინიძე), მესამე საპრიზო ადგილიც „მეტალურგის“ აღსაზრდელთა გუნდ „იუვენტუსს“ ხვდა (მწვრთნელი მამუკა ჩუბინიძე). აქ საუკეთესონი იყვნენ მეკარე მამუკა მდინარაძე, მცველი ირაკლი გიორგაძე, თავდამსხმელი პაატა ქათამაძე, ტურნირის ბომბარდირი გახდა ლევან მანჯავიძე, ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი კი ნიკა ნიკაჭაძე იყო.

სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ტურნირის სხვა მონაწილეებს. ესენი არიან: ირაკლი არევაძე, გიგა სურმავა, დათო ჭუმბურიძე, ფრიდონ ბაბუაძე, დათო ჩხიკვაძე, ირაკლი მალაღურაძე. გათამაშების მთავარმა მსაჯმა მამუკა ჩუბინიძემ და მისმა მოადგილემ დიმიტრი მაღრაძემ ყველაფერი გააკეთეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

**გიორგი აბაშიძე,**
**ზესტაფონი.**

# მარკო ტარდელი „მილანში“ რჩება

„ნუ აყვებით ჭორებს – ტარდელი „ინტერში“ რჩება! – ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ მილანური კლუბის სპორტულმა დირექტორმა გაბრიელ ორიალიმ.



— ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს მარკოს გარჯა. იგი კლუბში არა მარტო სეზონის ბოლომდე, არამედ 2002 წლის ზაფხულამდე იმუშავებს. რაც შეეხება კლუბის მეპატრონეთა მოლაპარაკებას „ვალენსიას“ არგენტინელ მწვრთნელ ჰექტორ კუპერთან, ყველაფერი ჟურნალისტების მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია“.

*სურათზე: მარკო ტარდელი*

# ძოძუაშვილი წვრთნიდა, დონადონის მხარდამხარ თამაშობდა

მოსკოვის „ტორპედოში“ ჩაირიცხა უკრაინელი თავდამსხმელი ივან მილიმონი, თავისებური ბედიღბლის ფეხბურთელი. იგი ადრე კიევის ცსკა-ში თამაშობდა, სადაც 18 მატჩი გამართა და 10 გოლი გაიტანა, შემდეგ რევაზ ძოძუაშვილმა რიგის „სკონტოში“ მიიწვია და როცა მწვრთნელი საუდის არაბეთში გაემგზავრა, თავდამსხმელიც თან წაიყვანა.

— საუდის არაბეთი მეტად თავისებური ქვეყანაა, იქ მძიმე ბუნებრივი პირობებია, რაც ადგილობრივ ფეხბურთს თავის დაღს ასვამს. აქ მთავარი აქცენტი ტექნიკაზე კეთდება, მაშინ როცა უკრაინაში ძირითადი ყურადღება „ფიზიკას“ ექცევა „ალ-იტიხადი“ საუდის არაბეთის ყველაზე ცნობილი კლუბია. 80-იან წლებში მასში ერთ მატჩში მარადონამაც კი ითამაშა, რომელსაც ადგილობრივი გულშემატკივრები დიდი სიამოვნებით იხსენებენ. მაშინ კი, როცა ძოძუაშვილი არაბეთიდან წამოსვლას აპირებდა, „ალ-იტიხადში“ რობერტო დონადონი ჩაირიცხა.

# უკრაინის ნაკრები მესამე დივიზიონის გუნდთან დამარცხდა

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ნაკრების მომავალი მეტოქე უკრაინის ეროვნული გუნდი საწვრთნელ შეკრებას გადის კიევის „დინამოს“ ბაზაზე — კონჩე ზასპეში. გუშინწინ დახურულ დარბაზში მან ამხანაგური მატჩი გამართა კლუბ „ობოლონთან“ და დამარცხდა ანგარიშით 0-2. ვალერი ლობანოვსკიმ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: შოვკოვსკი, სნიტკო, ნესმაჩნი (ანიკეევი, 46), შიშენკო (იაშკინი, 46), ვაშჩუკი (გოლოვკო, 46), დმიტრულინი (ნაზაროვი, 46), კარდაში, სვისტუნოვი, პრიზეტკო, დემჩენკო (ტკაჩენკო, 46), მელაშენკო (მუსოლიტინი, 46).

მატჩის შემდეგ ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა: „ეს იყო ჭკუისსასწავლებელი შეხვედრა. ის, რომ ეროვნული ნაკრები უკრაინის მესამე დივიზიონის გუნდთან მარცხდება, გარკვეული დასკვნების საფუძველს გვაძლევს. ამასთან ერთად, ტრაგედიას ნუ შევქმნით, ნაკრების მზადება გეგმის მიხედვით მიდის.“

# დანიელ ამოკაში ბუნდესლიგაში

ნიგერიის ნაკრების თავდამსხმელი, 28 წლის დანიელ ამოკაში ამიერიდან ბუნდესლიგის კლუბ „მიუნხენ-1860“-ში ითამაშებს. იგი მსოფლიოს ორი ბოლო ჩემპიონატის მონაწილეა და ეროვნულ ნაკრებში 56 მატჩი აქვს ჩატარებული. იგი ადრე გამოდიოდა „ბრიუგეში“ (ბელგია), „ევერტონში“ (ინგლისი), უკანასკნელ ხანებში კი სტამბოლის „ბეშიქთაშში“ თამაშობდა.

# სამორანო კვლავ სამორანოდ რჩება

ივან სამორანო მექსიკურ ლიგაში ისე თამაშობს, რომ უკეთესი არ შეიძლება. პირველივე მატჩში „ამერიკის“ შემადგენლობაში „სანტოს ლაგუნასთან“ (5-1) მან 3 გოლი გაიტანა.

სამორანოს ტრანსფერი „ამერიკის“ მესვეურებს თავისთვის მეტად ხელსაყრელად მიაჩნიათ და თვლიან, რომ სახელოვანი თავდამსხმელი მათ მექსიკის ე.წ. „საზაფხულო ჩემპიონატის“ მოგების შესაძლებლობას მისცემს.

# ჰონკონგის ტურნირზე

# გადამწყვეტი მატჩი დღეს გაიმართება

ჰონკონგში მიმდინარეობს პრესტიჟული ტურნირი „Carlsberg Cup“. დღეს ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან მასპინძელთა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. პირველ ნახევარფინალურ მატჩში ევროპელებმა სძლიეს კორეელებს, ხოლო ჰონკონგელებმა, მას შემდეგ რაც ძირითადი დრო ფრედ დაამთავრეს პარაგვაისთან 0-0, პენალტებით იმარჯვეს 9-8.

# ილიე თბილისში არ ითამაშებს

რუმინეთის ნაკრებისა და ესპანეთის „ვალენსიის“ თავდამსხმელმა ადრიან ილიემ ვარჯიშზე ფეხის მყესები დაიზიანა და აპრილამდე ვერ ითამაშებს – ამის შესახებ იტყობინება ესპანური გაზეთი „Marca“.

ბოლო ორი სეზონი ილიესთვის ძალზე უიღბლო გამოდგა. შარშან მან მხოლოდ 22 მატჩი ითამაშა, მერე კი მძიმე ტრავმა მიიღო. დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ ფეხბურთელმა მხოლოდ 6 შეხვედრა ჩაატარა ესპანეთის ჩემპიონატში და კვლავ დაშავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „უდინეზე“ – „პარმა“ – 1 თებერვალს

უამინდობის გამო გადადებული იტალიის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი „უდინეზესა“ და „პარმას“ შორის გაიმართება 1 თებერვალს.

### კანჩელსკისი – „მანჩესტერ სიტიში“

შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის“ რუსი ლეგიონერი ანდრეი კანჩელსკისი კარიერას ინგლისის პრემიერ-ლიგის „მანჩესტერ სიტიში“ გააგრძელებს. ტრანსფერის პირობები ჯერჯერობით უცნობია.





### ტოტიმ „რომასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გულშემატკივართა კერპმა ფრანჩესკო ტოტიმ „რომასთან“ ახალი ხელშეკრულება გააფორმა. იგი 2006 წლამდე იმოქმედებს, თანხა კი 20 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

## EUROBET-ის ფსონები

| | | მ. | ფ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ჩესტერფილდი — ტორკი | 27.01.2001 | 1,34 | 4,34 | 7,5 |
| დაგენჰემი — ჩარლტონი | 27.01.2001 | 8,0 | 4,5 | 1,29 |
| ნოტს ქაუნთი — უიმბლდონი | 27.01.2001 | 2,6 | 3,2 | 2,38 |
| ასტონ ვილა-ლესტერი | 27.01.2001 | 2,0 | 3,2 | 3,25 |
| ბლექბერნი — დერბი | 27.01.2001 | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ბრისტოლ სიტი — კინგსტონი | 27.01.2001 | 1,29 | 4,5 | 8,0 |
| ქრიუ — სტოკპორტი | 27.01.2001 | 2,38 | 3,2 | 2,6 |
| ევერტონი — ტრანმერი | 27.01.2001 | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| ლიდსი — ლივერპული | 27.01.2001 | 2,38 | 3,2 | 2,6 |
| მანჩესტერ სიტი — ქოვენთრი | 27.01.2001 | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| ქპრ — არსენალი | 27.01.2001 | 6,5 | 3,6 | 1,45 |
| საუთჰემპტონი — შეფილდ უენს. | 27.01.2001 | 1,37 | 4 | 7,0 |
| სანდერლენდი — იფსვიჩი | 27.01.2001 | 1,8 | 3,2 | 4,0 |
| უიკომბი — ვულვზი | 27.01.2001 | 2,5 | 3,25 | 2,38 |
| ბლექპული — იორკსიტი | 27.01.2001 | 1,5 | 3,6 | 6,0 |
| ლეჩე — ბოლონია | 27.01.2001 | 1,91 | 3,0 | 3,75 |
| ფრაიბურგი — უნტერჰახინგი | 27.01.2001 | 1,8 | 3,2 | 4,0 |
| ფულჰემი — ბირმინგემი | 27.01.2001 | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| გრიმსბი — პორტსმუთი | 27.01.2001 | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| ნორვიჩი — უოტფორდი | 27.01.2001 | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| კემბრიჯი — უოლსოლი | 27.01.2001 | 2,75 | 3,25 | 2,25 |
| ლაუტონი — რეიდინგი | 27.01.2001 | 2,88 | 3,25 | 2,2 |
| მილვილი — ბორნბეტი | 27.01.2001 | 1,40 | 4,0 | 6,5 |
| ნორტჰემპტონი — პიტერბორო | 27.01.2001 | 1,67 | 3,5 | 4,34 |
| ოლდჰემი — ბრედფორდი | 27.01.2001 | 2,0 | 3,25 | 3,25 |
| ოქსფორდი — კოლჩესტერი | 27.01.2001 | 2,38 | 3,2 | 2,6 |
| როტერჰემი — პოსტ ვალე | 27.01.2001 | 1,58 | 3,6 | 5,0 |
| სტოკი — ვიგენი | 27.01.2001 | 2,1 | 3 | 3,25 |
| სუინდონი — ბარი | 27.01.2001 | 2,25 | 3,25 | 2,75 |
| ბარნეტი — ჰარტფული | 27.01.2001 | 2,38 | 3,2 | 2,6 |
| რეჯინა — პერუჯა | 27.01.2001 | 2,25 | 2,88 | 3,0 |
| კარლისლე — მანსფილდი | 27.01.2001 | 2,25 | 3,25 | 2,75 |
| ბრემენი — მიუნხენ 1860 | 27.01.2001 | 2,1 | 3,2 | 4,0 |
| ლინკოლნი — დარლინგტონი | 27.01.2001 | 1,84 | 3,4 | 3,6 |
| პლიმუთი — ჰალიფაქსი | 27.01.2001 | 1,84 | 3,4 | 3,6 |
| საუთჰენდი — შევსბური | 27.01.2001 | 1,54 | 3,6 | 5,5 |
| ბილბაო — დეპორტივო | 27.01.2001 | 2,5 | 3,0 | 2,6 |
| მალაგა — ბარსელონა | 27.01.2001 | 3,4 | 3,0 | 2,0 |
| კაიზერსლაუტერნი — ვოლფსბურგი | 27.01.2001 | 1,8 | 3,2 | 4,0 |
| ფრანკფურტი — კიოლნი | 27.01.2001 | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| დორტმუნდი — კოტბუსი | 27.01.2001 | 1,37 | 4,0 | 7,0 |
| ბაიერნი — ბოხუმი | 27.01.2001 | 1,2 | 5,0 | 11,0 |
| ესპანიოლი — სარაგოსა | 27.01.2001 | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| იუვენტუსი — ვიჩენცა | 28.01.2001 | 1,25 | 4,5 | 10,0 |
| რომა - ნაპოლი | 28.01.2001 | 1,34 | 4,0 | 8,0 |
| უდინეზე — ატალანტა | 28.01.2001 | 1,91 | 3,0 | 3,75 |
| ვერონა — პარმა | 28.01.2001 | 2,38 | 2,88 | 2,8 |
| ალავეში — ლას პალმასი | 28.01.2001 | 2,0 | 3,0 | 3,4 |
| ინტერი — ბარი | 28.01. 2001 | 1,5 | 3,2 | 3,0 |
| სელტა — ოსასუნა | 28.01.2001 | 1,58 | 3,5 | 5,0 |
| სანტადერი — სოსიედადი | 28.01.2001 | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| რაიო — ვილიარეალი | 28.01.2001 | 1,73 | 3,2 | 4,34 |
| ოვიედო — ნუმანსია | 28.01.2001 | 1,73 | 3,2 | 4,34 |
| ვალენსია — რეალ მადრიდი | 28.01.2001 | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| ვალიადოლიდი — მალიორკა | 28.01.2001 | 2,5 | 3,0 | 2,6 |
| მან. იუნაიტედი — ვესტჰემი | 28.01.2001 | 1,34 | 4,34 | 7,0 |
| ფიორენტინა — ლაციო | 28.01.2001 | 2,25 | 2,88 | 3,0 |
| ბოლტონი — საუნტორფი | 28.01.2001 | 1,29 | 4,5 | 8,0 |
| ბრეშა — მილანი | 28.01.2001 | 3,4 | 2,8 | 2,1 |
| ჯილინგემი — ჩელსი | 28.01.2001 | 5,0 | 3,5 | 1,58 |
| ლევერკუზენი — შტუტგარტი | 28.01.2001 | 7,0 | 4,0 | 6,5 |
| ჰამბურგი — ჰერტა | 28.01.2001 | 2,0 | 3,2 | 2,6 |
| ინგლისი — ესპანეთი | 28.01.2001 | 2,1 | 3,2 | 3,0 |

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

# „ოქროს მტაცებელი“ ტოსტაო

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №5-6, 2001)

### დიდი ვნებათაღელვის დღეები

1966 წლის ბრაზილიის თასის პირველ მატჩში ბელუ-ორიზონტაში დავამარცხეთ სანტოსი – 6-2. ადვილი წარმოსადგენია, როგორი შოუ იყო ეს! საპასუხო მატჩს ვაგებდით – 0-2, ამასთან, მეორე ტაიმის დასაწყისში, ვერ შევაგდე პენალტი. ნერვები უნდა მოგვეთოკა და მალე შევძელი კიდეც, გამოვასწორე შეცდომა, მერე დირსეუმ მეორე გოლი გაიტანა, ნატალმა მესამე, ჩემი ჩაწოდებით. თამაშის შემდეგ სურათი გადამილეს გვირგვინით თავზე. მეორე დღეს ჟურნალში რომ ვნახე ის სურათი სათაურით „ფეხბურთის ახალი მეფე“, სირცხვილის მეტი არაფერი განმიცდია.

უნდა აღვნიშნო, რომ როგორც წესი, ლამაზი გოლები გადის იმ მატჩებში, დიდი მნიშვნელობა რომ არა აქვს. მახსენდება, მაგალითად, „ბაიასთან“ ამხანაგურ მატჩში გატანილი გოლი, ცენტრში წამოწყებული დრიბლინგით მეკარესაც რომ გვერდი ავუარე და ბურთი ბადეში გავგზავნე. აი ვენის „რაპიდთან“ (5-4 ჩვენს სასარგებლოდ) უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში ვერაფერი შევძელი, მაგრამ მას ჩემს კარიერაში საუკეთესოდ მივიჩნევ. ამას ხელი შეუწყო ორივე მხარის ინდივიდუალურმა და გუნდურმა მოქმედებამ. მაშ, რატომღა „ვთავაზობთ მაყურებელს“ სარმებს, პანღურსა და მინდვრიდან გაძევებას? სიამაყით შემიძლია ვთქვა, არც ერთხელ არ გაუძევებივარ თამაშიდან. თუმცა, ერთხელ მსაჯმა შეწყვიტა „კრუზეიროსა“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრა მოთამაშეთა შეხლა-შემოხლის გამო, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი.

### მწუხარება და სიხარული

1966 წელს სანაკრებოდ 44 კანდიდატი შეარჩიეს და ისინი შეუდგნენ მსოფლიო პირველობისათვის მზადებას. მე, ალსინდო რიო-გრანდე-დოსულაიდანი და ნადო ჰერნაგ-ბუკოდან მხოლოდ იმიტომ მიგვიწვიეს, რომ გაფართოებულიყო რიო-სან-პაულოს გარე ღერძი. სასაყვედურო რა უნდა გვქონოდა, მადლობელნი ვიყავით, რომ ახლოს გაგვეცნო პელე-ფეხბურთის მეფე, ჯალმა სანტოსი, ბელინი, ჟილმარი, გარინჩა, ორლანდო და 1958-1962 წლების სხვა გმირები, პელეს გარდა ვეტერანებად რომ ითვლებოდნენ.



*1970 წ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ბრაზილია – პარაგვაი 1-0. საზიარო გოლი – პელე და ტოსტაო (კართან)*

ერთმა ჟურნალისტმა ჩემზე თქვა, ძალზე პატარაა ტანით ბრაზილიის ნაკრების თავდასხმაში სათამაშოდ. ასეთი დასკვნა ალბათ ჩემმა მეტსახელმა – ტოსტაომ გააკეთებინა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ პელეს მომდევნო ადგილი დავიკავე: მისი სიმაღლე – 172 სმ... ჩემი – 171.

მეცადინეობებზე დეზორგანიზაციამ და საქმისადმი არასერიოზულობამ იჩინა თავი, რამაც განაპირობა მომავალი ფიასკო. ყოველ კვირას ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში გუნდის გადაადგილება მოჰყვებოდა, რაც იქაურ ფანატებსა და პოლიტიკოსებს თუ აძლევდა ხელს.

მაინც, მიმაჩნია, რომ ალმავლობა მქონდა, და ვარჯიშზე საკმაოდ კარგად გამომდიოდა ყველაფერი, განსაკუთრებით საკმაოდ შესაფერ ფორვარდ ალსინდოსთან წყვილში. მაგრამ ევროპული მოსამზადებელი შვედეთის ტურნეს ერთ-ერთ მატჩში ჯერსონისა და პელეს გვერდით მიმიჩინეს ადგილი. ყველაფერი ისე არ გამომივიდა, როგორც მინდოდა. ბურთის ერთი შეხებით თამაშს ვიყავი შეჩვეული, მაშინ კი ჩემი პასები უმისამართოდ იკარგებოდა და ვერ აღწევდა პარტნიორებამდე. ჯერსონმა მისთვის ჩვეული ინტელიგენტობით ამიხსნა: „შეეცადე „ატარო“ ბურთი, რაც საშუალებას მომცემს წინ რომ გავიდე, და შენი პასები უფრო ზუსტი და მწვავე იქნება. მის რჩევას ავყევი, ასე წარმოიშვა ნაერთ – ჯერსონი – პელე – ტოსტაო, მაგრამ მთელი ძალით მხოლოდ 1970 წელს გამოვლინდა.

იქვე, შვეციაში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დადგინდა 22 მოთამაშის საბოლოო სია. მე მასში აღმოვჩნდი, მაგრამ მარტო ერთ მატჩში მომიწია თამაში – უნგრელებთან, ისიც იმის გამო, რომ, პელემ წინა შეხვედრაში ბულგარელებთან ტრავმა მიიღო. წავაგეთ – 1-3. ის ერთი გოლი მე შევაგდე, რომელიც უნგრელთა სწრაფ გოლს მივაყოლე. მეორე ტაიმში მეტოქემ სისწრაფეში არ დაგვიდო ტოლი. აწყობილი გუნდი არ გამოგვივიდა. „ბიკამპიონებმა“, პელეს გარდა, ამოწურეს მთელი თავიანთი შესაძლებლობა, ახალგაზრდა მოთამაშეებს კი გამოცდილება და ძალის რწმენა აკლდათ.

გარინჩა კარიერის დასასრულ ატროფირებულ ფეხს და მენისკს ებრძოდა. მინდორზე ნამდვილი ბრძოლისათვის სულაც არ აღმოჩნდა მზად. მის მაგიერ მხოლოდ სახელი თამაშობდა და ის უმნიშვნელო საკონტროლო თამაში შვეციაში, რომელიღაც საფაბრიკო გუნდთან, სადაც მან ნამდვილი ფეიერვერკი – კარნავალი მოაწყო.

დამამახსოვრდა სამშობლოში დაბრუნება, სავსე გულგატეხილობითა და დაბნეულობით და მკვეთრი კონტრასტით – ბელუ-ორიზონტაში მოწყობილი მიღებით ჩემს საპატივცემულოდ: ღია მანქანით, ხალხით სავსე ქუჩებით, და მე ერთადერთი სურვილით, რაც შეიძლებოდა სწრაფად გავცლოდი იქაურობას და შინ, ოთხკედელში ჩავკეტილიყავ.

### საუკეთესო წლები

„მსოფლიო 1966 წლიდან“ მოყოლებული რეგულარულად ვირიცხებოდი ბრაზილიის ნაკრებში. 1968 წელს ევროპაში დიდი ტურნე გავმართეთ უპელეოდ აიმორე მორეირას ხელმძღვანელობით. მწვრთნელი, ისევე როგორც იმდროინდელი მწვრთნელები ანბანურ ჭეშმარიტებას ქადაგებდა და უინტერესო, მონოტონურ მეცადინეობებს ატარებდა. მაგრამ გუნდის შემადგენლობა არსებითად შეიცვალა. მე, რიველინო და ჯერსონი გუნდის საყრდენი ვიყავით. ჯერსონი – უკანდახეული, მე – მარჯვნივ და ოდნავ წინწაწეულ, რიველინო – მარცხნივ. ჟაირზინიო – ცენტრში და ორი წინწაეული თავდამსხმელი – ნატალი და ედუ – 4+3+3. თითქმის მთელი ევროპა დავამხეთ. 1969 წელს ნაკრების ხელმძღვანელად მოვიდა სალდანია, რომელთანაც მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შემდეგი ციკლი ჩავატარეთ. და ის ეროვნულ გუნდში ჩემი გამოსვლის საუკეთესო პერიოდი იყო.

მან მკითხა: „რით ხარ უკმაყოფილო? ვუპასუხე: „პელეს დუბლიორობით: ვფიქრობ, შემიძლია მის გვერდით ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო“ და მან თქვა: „დღეიდან ჩათვალე, რომ ასეც იქნება“.

სალდანია, როგორც მწვრთნელი ტაქტიკოსი არ ყოფილა, არ გვირჩევდა თამაშის სქემებს, მაგრამ ჰქონდა უნიკალური ალღო ცხოვრებისეული გამოცდილებით მოთამაშეთა სულში შეღწევის უნარი. ახლა ვხვდები, რომ მის მიერ მოტანილი მაგალითები, ამბები, შემთხვევები ზოგჯერ გამოგონილიც, მას სჭირდებოდა თითოეული ჩვენთაგანის დასახმარებლად ამა თუ იმ პრობლემის დასაძლევად, გუნდის სულიერი განწყობის გასამტკიცებლად. დამეთანხმებით ეს ყველას არ ძალუძს, იგი მხოლოდ ზნემაღალთა და სულიერად მდიდარი ადამიანების ხვედრია.

შესარჩევ მატჩებში 23 გოლიდან 10 მე გავიტანე, საკლასიფიკაციო ტურნირი ბრწყინვალედ განვვლეთ და ჩვენზე ალაპარაკდნენ, როგორც მსოფლიო გვირგვინის ყველაზე უფრო მოსალოდნელ პრეტენდენტებზე. მე ვთამაშობდი პელეს გვერდით შეტევის ცენტრში. თუმცა თამაშის მონახაზი ითვალისწინებდა ჩემს ოდნავ უკანდახევას, მაშინ პელეს დასახმარებლად ედუ და ჟაირზინიო გადიოდნენ წინ. ფლანგებიდან ჯერსონი დამხმარის როლს ასრულებდა და დრო და დრო გამოჩნდებოდა ხან ერთ, ხან მეორე ფრთაზე. მათემატიკურად ჩვენი სისტემა ასე გამოიყურებოდა. 4+2+4, რომელიც დღეს მოძველებულად ითვლება, მაგრამ ნიგერიის ნაკრებმა გაახალგაზრდავა და სწორედ დაეხმარა მას ოლიმპიადებზე დაემარცხებინა ბრაზილიელებიცა და არგენტინელებიც.

კოლუმბიაში შერჩევითი ჯგუფური ტურნირის პირველ მეტოქესთან გავიმარჯვეთ 2-0, ორივე ბურთი მე შევაგდე. მაგრამ ძლიერი დარტყმა მივიღე შუბლში, ალბათ, ძალიან სერიოზული, თუმცა მაშინ არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია. არც შემდეგ გავასინჯე თვალის ფსკერი ექიმს. ახლა ვერ ვიტყვი იმოქმედა თუ არა იმ დარტმამ ბადურის დაცილებაზე, რომელიც ორი თვის შემდეგ, 1969 წლის სექტემბერში მომივიდა „კრუზეიროს“ „კორინტიაკოსთან“ თამაშში „პაკაემბუზე“...

შერჩევითმა მატჩებმა ეროვნულ კერპად მაქცია. ერთ ჟურნალისტს გაუკვირდა კიდეც: „როგორ შეუძლია სქელფეხება უბადრუკ ნელ მოთამაშეს, ამის მიღწევა? უნდა დავეთანხმო, რამდენიმე დეფექტი მქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დიდი შრომის შედეგად გამოვასწორე. დამეხმარა თვითკრიტიკა, უდიდესი სურვილი კარგად თამაშის. და უნდა აღვნიშნო, რომ ვერ მივაღწიე „მარცხენის“ ადექვატური თამაში მარჯვენა ფეხით, თავითაც სუსტად ვთამაშობდი, დარტყმის დროს კი ხშირად თვალებსაც ვხუჭავდი, არც სისწრაფით გამოვირჩეოდი საშუალო და დიდ მანძილებზე, საჯარიმოს გარედან არც ჩემი დარტყმები იყო მეკარისათვის ძნელად ასაღები და მოულოდნელი.

იმ დროს შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, „ტოსტაო – ოქროს მტაცებელი“, შემდეგ ვიდეოკასეტებზეც გამოვიდა. ამაყი და ბედნიერი ვიყავი, თუმცა ტოსტაოც კი არ მიმიღია მასში, ესე იგი, გროშიც, შეპირებული თანხიდან.

(გაგრძელება იქნება)

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## იურიდიული სტატუსი შეიცვალა

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ იურიდიული სტატუსი შეიცვალა. ახლა იგი აღარ არის ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად ჩრდ. ოსეთის რესპუბლიკის ბიუჯეტზეა დამოკიდებული. ამიერიდან ხელმოწერილია ყველა დოკუმენტი, რაც სააქციო საზოგადოების შექმნასთან არის დაკავშირებული.

## სამგზის პრეზიდენტი გახდა

ყალმუხეთის რესპუბლიკისა და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა, რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს წევრმა კირსან ილიუმჟინოვმა გამოაქვეყნა სპეციალური ბრძანება, სადაც საკუთარი თავი ელისტის „ურალანის“ პრეზიდენტად დანიშნა.

ამრიგად, ილიუმჟინოვი უკვე სამგზის პრეზიდენტი გახდა.

## მცველიც არის, კაპიტანიც და... მწვრთნელიც

მას შემდეგ, რაც ცნობილი უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი, რომელიც ფრანგულ კლუბ „სენტ-ეტიენში“ მუშაობდა, „რეალ-სოსიედადმა“ გადაიბირა და იგი ესპანეთში გაემგზავრა, ფრანგებმა საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს — ახლა „სენტ-ეტიენს“ ამავე გუნდის მცველი, კაპიტანი ჟან-გი ვალემი უხელმძღვანელებს.

## როცა ფიფამ უეფას დაუთმო

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა დაუთმო უეფას. მან უკანვე გამოიწვია ფიფას წინადადებები ახალ სატრანსფერო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლებიც უეფას გვერდის ავლით ევროკავშირს გაეგზავნა.

ბლატერთან საათნახევრიანი საუბრის შემდეგ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა იმას მიაღწია, რომ ეს წინადადებები ანულირებულია. ახლა ფიფამ და უეფამ შექმნეს ახალი სამუშაო ჯგუფი ახალი სატრანსფერო პოლიტიკის სისტემის შესადგენად.

— ჩვენ ამ შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი ვართ, — განაცხადა იუჰანსონმა, — აღდგენილია ჩვენი ორგანიზაციების შედეგიანი თანამშრომლობა.

ტრანსფერების ახალი სისტემის დაზუსტება 31 იანვრამდე უნდა მოხდეს.

## გამოჩენილი მსახიობი „სპარტაკს“ უსურვებს... მეორე ადგილს

მოსკოვის „ლოკომოტივისათვის“ რუსეთის ჩემპიონატში მოპოვებული ვერცხლის მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა გამოჩენილი სატირიკოსი მსახიობი გენადი ხაზანოვი, რომლის მახვილგონივრულმა გამოთქმებმა დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღტაცება გამოიწვია მსახიობის შემდეგმა ფრაზამ:

— იმედი მაქვს, ერთი წლის შემდეგ ვერცხლის მედლებს გადავცემ... მოსკოვის „სპარტაკს“!

## 30 წელი საპენსიო ასაკი არ არის

როგორც მოსკოვის „ლოკომოტივის“ ცნობილმა თავდამსხმელმა ოლეგ ტერიოხინმა განაცხადა, მას საზღვარგარეთ წასვლა არ სურს, სარატოვის „სოკოლი“ კი იწვევს, მაგრამ არც იქითკენ მიუწევს გული.

— მართალია, იური სიომინი მთელი სეზონის მანძილზე უპირატესობას უფრო ახალგაზრდებს — დიმიტრი ბულიკინსა და ზაზა ჯანაშიას ანიჭებდა, მაგრამ მე ვთვლი, რომ 30 წელი საპენსიო ასაკი არ არის.

ამასთან ერთად, მიმდინარეობს მოლაპარაკება ბულიკინისა და ჯანაშიას საზღვარგარეთის კლუბებში გადასვლის შესახებ. უფრო კონკრეტულად — ბულიკინი იტალიის რომელიმე ლიგის კლუბში ითამაშებს.

## საპასპორტო სკანდალები აღარ იკვეცება

ამ ბოლო ხანებში ერთი საპასპორტო სკანდალი მეორეს მოჰყვა.

**1. მაქსიმ ლევიცკი (უკრაინა).** უკვე ვიუწყებოდით, რომ „სენტ-ეტიენის“ მეკარეს ყალბი ბერძნული პასპორტი აღმოაჩნდა. მას ფრანგულ კლუბში დისკვალიფიკაცია მისცეს მას შემდეგ, რაც საქმე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა. ახლა ყველაფერი გამოსწორდა და ლევიცკი უკვე მოსკოვის „სპარტაკს“ შეუერთდა.

**2. ალექსი (ბრაზილია).** იგი ასევე „სენტ-ეტიენის“ ფეხბურთელია. გაამტყუნეს ყალბი პორტუგალიური პასპორტის გამოყენებაში. არ გამოცხადდა სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე, ბრაზილიაში ოჯახური პირობების გამო გამგზავრება მოიმიზეზა.

**3. დიეგო გარაი (არგენტინა).** საფრანგეთის „სტრასბურის“ ფეხბურთელს შარშან გერმანიის საზღვარზე შემოწმებისას ყალბი იტალიური პასპორტი აღმოაჩნდა. რათა სკანდალი როგორმე თავიდან აეცილებინათ, „სტრასბურის“ მესვეურებმა დაუყოვნებლივ დაუთმეს გარაი არგენტინულ კლუბ „ტალიერესს“ იჯარის უფლებით.

**4. დიდა (მილანი).** „მილანის“ ამ 27 წლის ბრაზილიელ მეკარეს აღმოაჩნდა ყალბი პორტუგალიური პასპორტი, რომელიც მას უფლებას აძლევდა ისეთი ქვეყნის მოთამაშედ ჩათვლილიყო, რომელიც ევროკავშირში შედიოდა. ერთი წლის წინათ კი „მილანმა“ იგი განაცხადში შეიყვანა, როგორც ბრაზილიის მოქალაქე. ამან დიდი სკანდალი გამოიწვია, მაგრამ ბრაზილიელის საბედნიეროდ, დისკვალიფიკაცია თავიდან აიცილა.

**5. რამიზ მამედოვი (რუსეთი).** მამედოვი ახლა გრაცის „შტურმში“ თამაშობს. იგი ვენის აეროპორტში ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა. პოლიციაში განაცხადეს, რომ მას პორტუგალიური პასპორტი ჰქონდა, რომელსაც ინტერპოლი ეძებს. რატომ? თურმე ნუ იტყვით, ეს პასპორტი მომზადებულია ერთ-ერთ ფორმულარზე იმ 2000 ცალიდან, რომლებიც 1998 წელს პორტუგალიური კანტორიდან მოიპარეს. ფეხბურთელმა 14-დღიანი ვიზა მიიღო, რათა ყველა სადავო საკითხი ავსტრიაში მოეგვარებინა. როგორც პოლიციის უფროსმა განაცხადა, შეიძლება ამ საკითხის ისე გადაწყვეტა, რომ საქმეს სკანდალური ხასიათი არ მიეცეს. იგი შეიძლება უბრალო შეცდომად ჩაითვალოს. ამის დასადასტურებლად შეიძლება იმ ფაქტის გამოყენება, რომ მამედოვმა ოფიციალურად მიიღო ეს პასპორტი, როცა პორტუგალიელი ქალი შეირთო და 100 დოლარი გადაიხადა. როგორც თვით ფეხბურთელმა განაცხადა, „არავითარი უკანონობა არ მომხდარა, ამიტომ, არაფრისა მეშინია“.

## ინგლისელებმა თავგზა აუბნიეს ერიქსონს...

...ასე ფიქრობს პოპულარულ იტალიურ გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ კორესპონდენტი.

გაზეთი აკრიტიკებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დირექტორ-განმკარგულებელ ადამ კროზიერს, რომელსაც სვენ-გორან ერიქსონის „ლაციოსთან“ გამოთხოვების მთავარ მიზეზად მიიჩნევს. „მან (კროზიერმა) თავისი მიწვევებით პირდაპირ თავგზა აუბნია ერიქსონს. შუა სეზონში ადგილიდან მოწყვიტა მოქმედი მწვრთნელი, ერთმანეთს წაჰკიდა სვენი და „ლაციოს“ პრეზიდენტი კრანიოტი. ერიქსონს ინგლისში ძალიან გაუჭირდება. იქ ხომ მისგან მხოლოდ მოგებას მოითხოვენ.“

## ერიქსონს კიდევ ერთი თანაშემწე ჰყავს

ინგლისის პრესაში გაჩნდა საინტერესო ცნობა, რომ განთქმულმა იტალიელმა ფეხბურთელმა რობერტო მანჩინიმ, რომელიც აქამდე „ლაციოში“ სვენ-გორან ერიქსონის თანაშემწე იყო, გამოთქვა სურვილი ნისლიან ალბიონში გადასახლდეს და ახლა უკვე შვედს ინგლისის ნაკრებში დაეხმაროს. არის მეორე ვარიანტიც: მანჩინიმ შეიძლება ერთდროულად თამაში „ლესტერ სიტიშიც“ განაახლოს, რომელსაც ერიქსონის კიდევ ერთი თანაშემწე პიტერ ტეილორი ხელმძღვანელობს.

მანჩინი აგროვებს ცნობებს ინგლისის ნაკრების წევრების შესახებ. მან ერიქსონს ურჩია ყურადღება მიაქციოს მეკარე პოლ რობინსონს („ლიდს იუნაიტედი“), უნივერსალურ ფეხბურთელს, „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ კირონ დაიერს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველებს პოლ სქოულზსა და დევიდ ბექჰემს.

## „საკუთარი გოლებით აღტაცებას აღარ გამოვხატავ“

კრისტიან ვიერი ძალზე უკმაყოფილოა საკუთარი კლუბის — მილანის „ინტერის“ გულშემატკივრებით, რომლებიც განუწყვეტლივ აკრიტიკებენ და თავს ესხმიან ფეხბურთელებს. ამიტომ მან გადაწყვიტა თავის მიერ გატანილი გოლების შემდეგ არავითარი ემოცია აღარ გამოხატოს. როცა „პარმასთან“ ვიერიმ გოლი გაიტანა, უბრალოდ, გამობრუნდა და მინდვრის ცენტრში მივიდა.

— მე არ მომწონს მაყურებლები, რომლებიც განუწყვეტლივ უსტვენენ მოთამაშეს, რომელიც 10 თვის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა, რომ განკურნებულიყო და კვლავ თავის კლუბს დაბრუნებოდა. როცა „სან-სიროზე“ კვლავ გოლებს გავიტან, აღტაცებას არაფრით გამოვხატავ და ისე გამოვბრუნდები ცენტრისკენ.

**მკითხველთა თხოვნით**

## ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარი

**მეორე წრე**

***XX ტური, 28 იანვარი.*** სელტა-ოსასუნა, ესპანიოლი — სარაგოსა, რაიო ვალეკანო — ვილიარეალი, ალავესი — ლას პალმასი, ოვიედო — ნუმანსია, ვალიადოლიდი — მალიორკა, ვალენსია — რეალი, მალაგა — ბარსელონა, ატლეტიკო — დეპორტივო, რასინგი — რეალ სოსიედადი.

***XXI ტური, 4 თებერვალი.*** რეალ სოსიედადი — სელტა, ოსასუნა — ესპანიოლი, სარაგოსა — რაიო ვალეკანო, ვილიარეალი — ალავესი, ლას — პალმასი — ოვიედო, ნუმანსია — ვალიადოლიდი, მალიორკა — ვალენსია, რეალი — მალაგა, ბარსელონა — ატლეტიკი, დეპორტივო — რასინგი.

***XXII ტური, 11 თებერვალი.*** ესპანიოლი — სელტა, რაიო ვალეკანო — ოსასუნა, ალავესი — სარაგოსა, ოვიედო — ვილიარეალი, ვალიადოლიდი — ლას პალმასი, ვალენსია — ნუმანსია, მალაგა — მალიორკა, ატლეტიკი — რეალი, რასინგი — ბარსელონა, დეპორტივო — რეალ სოსიედადი.

***XXIII ტური, 18 თებერვალი.*** რეალ სოსიედადი — ესპანიოლი, სელტა-რაიო ვალეკანო, ოსასუნა — ალავესი, სარაგოსა — ოვიედო, ვილიარეალი — ვალიადოლიდი, ლას პალმასი — ვალენსია, ნუმანსია — მალაგა, მალიორკა — ატლეტიკი, რეალი — რასინგი, ბარსელონა — დეპორტივო.

***XXIV ტური, 25 თებერვალი.*** რაიო ვალეკანო — ესპანიოლი, ალავესი — სელტა, ოვიედო — ოსასუნა, ვალიადოლიდი — სარაგოსა, ვალენსია — ვილიარეალი, მალაგა — ლას პალმასი, ატლეტიკო — ნუმანსია, რასინგი — მალიორკა, დეპორტივო — რეალი, ბარსელონა — რეალ სოსიედადი.

***XXV ტური, 4 მარტი.*** რეალ სოსიედადი — რაიო ვალეკანო, ესპანიოლი — ალავესი, სელტა — ოვიედო, ოსასუნა — ვალიადოლიდი, სარაგოსა — ვალენსია, ვილიარეალი — მალაგა, ლას პალმასი — ატლეტიკი, ნუმანსია — რასინგი, მალიორკა — დეპორტივო, რეალი — ბარსელონა.

***XXVI ტური, 11 მარტი.*** ალავესი — რაიო ვალეკანო, ოვიედო — ესპანიოლი, ვალიადოლიდი — სელტა, ვალენსია — ოსასუნა, მალაგა — სარაგოსა, ატლეტიკი — ვილიარეალი, რასინგი — ლას პალმასი, დეპორტივო — ნუმანსია, ბარსელონა — მალიორკა, რეალი — რეალ სოსიედადი.



ვალენსია — ბარსელონა

***XXVII ტური, 18 მარტი.*** რეალ სოსიედადი — ალავესი, რაიო ვალეკანო — ოვიედო, ესპანიოლი — ვალიადოლიდი, სელტა — ვალენსია, ოსასუნა — მალაგა, სარაგოსა — ატლეტიკი, ლას პალმასი — დეპორტივო, ნუმანსია — ბარსელონა, მალიორკა — რეალი, ვილიარეალი — რასინგი.

***XXVIII ტური, 1 აპრილი.*** ოვიედო — ალავესი, ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო, ვალენსია — ესპანიოლი, მალაგა — სელტა, ატლეტიკი — ოსასუნა, რასინგი — სარაგოსა, დეპორტივო — ვილიარეალი, ბარსელონა — ლას პალმასი, რეალი — ნუმანსია, მალიორკა — რეალ სოსიედადი.

***XXIX ტური, 8 აპრილი.*** რეალ სოსიედადი — ოვიედო, ალავესი — ვალიადოლიდი, რაიო ვალეკანო — ვალენსია, ესპანიოლი — მალაგა, სელტა — ატლეტიკი, ოსასუნა — რასინგი, სარაგოსა — დეპორტივო, ვილიარეალი — ბარსელონა, ლას პალმასი — რეალი, ნუმანსია — მალიორკა.

***XXX ტური, 15 აპრილი.*** ვალიადოლიდი — ოვიედო, ვალენსია — ალავესი, მალაგა — რაიო ვალეკანო, ატლეტიკი — ესპანიოლი, რასინგი — სელტა, დეპორტივო — ოსასუნა, ბარსელონა — სარაგოსა, რეალი — ვილიარეალი, მალიორკა — ლას პალმასი, ნუმანსია — რეალ სოსიედადი.

***XXXI ტური, 22 აპრილი.*** რეალ სოსიედადი — ვალიადოლიდი, ოვიედო — ვალენსია, ალავესი — მალაგა, რაიო ვალეკანო — ატლეტიკი, ესპანიოლი — რასინგი, სელტა — დეპორტივო, ოსასუნა — ბარსელონა, სარაგოსა — რეალი, ვილიარეალი — მალიორკა, ლას პალმასი — ნუმანსია.

***XXXII ტური, 29 აპრილი.*** ვალენსია ვალიადოლიდი, მალაგა — ოვიედო, ატლეტიკი — ალავესი, რასინგი — რაიო ვალეკანო, დეპორტივო — ესპანიოლი, ბარსელონა — სელტა, რეალი — ოსასუნა, მალიორკა — სარაგოსა, ნუმანსია — ვილიარეალი, ლას პალმასი — რეალ სოსიედადი.

***XXXIII ტური, 6 მაისი.*** რეალ სოსიედადი — ვალენსია, ვალიადოლიდი — მალაგა, ოვიედო — ატლეტიკი, ალავესი — რასინგი, რაიო ვალეკანო — დეპორტივო, ესპანიოლი — ბარსელონა, სელტა — რეალი, ოსასუნა — მალიორკა, სარაგოსა — ნუმანსია, ვილიარეალი — ლას პალმასი.

***XXXIV ტური, 13 მაისი.*** მალაგა — ვალენსია, ატლეტიკი — ვალიადოლიდი, რასინგი — ოვიედო, დეპორტივო — ალავესი, ბარსელონა — რაიო ვალეკანო, რეალი — ესპანიოლი, მალიორკა — სელტა, ნუმანსია — ოსასუნა, ლას პალმასი — სარაგოსა, ვილიარეალი — რეალ სოსიედადი.

***XXXV ტური, 20 მაისი.*** რეალ სოსიედადი — მალაგა, ვალენსია — ატლეტიკი, ვალიადოლიდი — რასინგი, ოვიედო — დეპორტივო, ალავესი — ბარსელონა, რაიო ვალეკანო — რეალი, ესპანიოლი — მალიორკა, სელტა — ნუმანსია, ოსასუნა — ლას პალმასი, სარაგოსა — ვილიარეალი.

***XXXVI ტური, 27 მაისი.*** ატლეტიკი — მალაგა, რასინგი — ვალენსია, დეპორტივო — ვალიადოლიდი, ბარსელონა — ოვიედო, რეალი — ალავესი, მალიორკა — რაიო ვალეკანო, ნუმანსია — ესპანიოლი, ლას პალმასი — სელტა, ვილიარეალი — ოსასუნა, სარაგოსა — რეალ სოსიედადი.



რეალი — სელტა

***XXXVII ტური, 10 ივნისი.*** ატლეტიკი — რეალ სოსიედადი, მალაგა — რასინგი, ვალენსია — დეპორტივო, ვალიადოლიდი — ბარსელონა, ოვიედო — რეალი, ალავესი — მალიორკა, რაიო ვალეკანო — ნუმანსია, ესპანიოლი — ლას პალმასი, სელტა — ვილიარეალი, ოსასუნა — სარაგოსა.

***XXXVIII ტური, 17 ივნისი.*** რასინგი — ატლეტიკი, დეპორტივო — მალაგა, ბარსელონა — ვალენსია, რეალი — ვალიადოლიდი, მალიორკა — ოვიედო, ნუმანსია — ალავესი, ლას პალმასი — რაიო ვალეკანო, ვილიარეალი — ესპანიოლი, სარაგოსა — სელტა, რეალ სოსიედადი — ოსასუნა.

# სპორტული პლანეტა

## ფიგურული ციგურაობა

### ბერეჟნაია და სიხარულიძე – კვლავ პირველები!



ბრატისლავაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში გათამაშდა მედლების პირველი კომპლექტი. რუსმა მოციგურავეებმა ელენა ბერეჟნაიამ და ანტონ სიხარულიძემ პირველი ადგილი დაიკავეს წყვილთა თანრიგში.

## ჩოგბურთი

### ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე

ძალზე დაძაბული გამოდგა ავსტრალიელი პატრიკ რაფტერისა და ამერიკელი ანდრე აგასის ორთაბრძოლა. ხუთსეტიანი მატჩი აგასიმ მოიგო 7:5, 2:6, 6:7 (5:7), 6:2,6:3.

ვაჟთა წყვილთა თანრიგში დევიდ პრინოშილმა და ბაირონ ბლეკმა, რომლებიც გამოდიან გერმანიისა და ზიმბაბვეს სახელით, ორ სეტში სძლიეს ამერიკულ დუეტს ჯასტინ გიმელსტობსა და სკოტ ხამფრის 7:6 (7:2), 6:1.

## ოლიმპიზმი

### ახალმა ზელანდიამაც განიზრახა

დიახ, ნამდვილად ასეა — ახალი ზელანდიის მთავრობამ მოიწადინა — 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართოს ახალ ზელანდიაში. ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მსოფლიო „ახალ ზელანდიას მხოლოდ მწვანე ნარგავებითა და უსაზღვრო ზღვის ნაპირებით იცნობენ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ აქ მშვენიერი სათხილამურო ტრასებია.

## ევრო-2001 • ვაჟები. შესარჩევი ტურნირი

2001 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდება სექტემბერში, თურქეთში. ითამაშებს 16 ნაკრები. წინა ჩემპიონატის შედეგების მიხედვით უკვე ცნობილია 8 ფინალისტი: იტალია (1999 წლის ჩემპიონი), ესპანეთი, იუგოსლავია, საფრანგეთი, ლიტვა, რუსეთი, გერმანია. ამათ დაემატება თურქეთი, როგორც მასპინძელი ქვეყანა. დანარჩენი 8 გუნდის ვინაობის დასადგენად შექმნილია 4 შესარჩევი ჯგუფი, რომლებიდანაც ფინალში I-II ადგილზე გასულები გავლენ.



**A ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| **ხორვატია** | **9** | **9** | **0** | **18** |
| **ლატვია** | **9** | **6** | **3** | **15** |
| უნგრეთი | 9 | 5 | 4 | 14 |
| ინგლისი | 9 | 4 | 5 | 13 |
| შვეიცარია | 9 | 3 | 6 | 12 |
| სლოვაკეთი | 9 | 0 | 9 | 9 |

ბოლო ტურში, რომელიც 27 იანვარს გაიმართება, ერთმანეთს ხვდებიან: ლატვია — ხორვატია, ინგლისი — უნგრეთი, სლოვაკეთი — შვეიცარია.

**B ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი** | **9** | **9** | **0** | **18** |
| ესტონეთი | 9 | 6 | 3 | 15 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 4 | 14 |
| პოლონეთი | 9 | 5 | 4 | 14 |
| ბელარუსი | 9 | 1 | 8 | 10 |
| ავსტრია | 9 | 1 | 8 | 10 |

***27.01.2001:*** ესტონეთი — ჩეხეთი, პოლონეთი — საბერძნეთი, ბელარუსი — ავსტრია.

**C ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ***ისრაელი*** | ***9*** | ***7*** | ***2*** | ***16*** |
| ბოსნია | 9 | 5 | 4 | 14 |
| ბულგარეთი | 9 | 4 | 5 | 13 |
| ჰოლანდია | 9 | 4 | 5 | 13 |
| ფინეთი | 9 | 4 | 5 | 13 |
| შვედეთი | 9 | 3 | 6 | 12 |

***27.01.2001:*** ბულგარეთი — ისრაელი, ჰოლანდია — ფინეთი, შვედეთი — ბოსნია.

**D ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ***სლოვენია*** | ***9*** | ***9*** | ***0*** | ***18*** |
| მაკედონია | 9 | 6 | 3 | 15 |
| უკრაინა | 9 | 6 | 3 | 15 |
| ბელგია | 9 | 5 | 4 | 14 |
| პორტუგალია | 9 | 1 | 8 | 10 |
| ისლანდია | 9 | 0 | 9 | 9 |

***27.01.2001:*** უკრაინა — მაკედონია, ბელგია — სლოვენია, პორტუგალია — ისლანდია.

ამრიგად, შესარჩევი მატჩების ბოლო ტურის წინ ფინალურ ეტაპზე გასვლა გაინაღდეს ხორვატიამ, საბერძნეთმა, ისრაელმა, სლოვენიამ და ლატვიამ. პრინციპული მატჩებია: ***ესტონეთი — ჩეხეთი*** (ესტონეთმა რომ წააგოს 15 ქულის სხვაობითაც, მაინც გასულია ფინალში, ვინაიდან ჩეხეთში სძლია მეტოქეს 16 ქულის სხვაობით), ***შვედეთი — ბოსნია*** (ბოსნია მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ინაღდებს ფინალის საგზურს), ***უკრაინა — მაკედონია*** (ამ მატჩში გამარჯვებული გაემგზავრება თურქეთში).

## ფორმულა-1

# დაკომპლექსებული ტრიუმფატორი

რა გინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, გამოჩენილი გერმანელი მრბოლი მიხაელ შუმახერი ფიქრობს, მეუღლესა და შვილებს იგი მხოლოდ იმიტომ უყვართ, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია. ამის მიზეზად „ოქროს ბიჭუნას“, ასე შეარქვეს ავტოსპორტის სამყაროში, მისი „საშინელი ყბა-ნიჩაბი“ მიაჩნია, რის გამოც პირდაპირ დაკომპლექსებულია. მიხაელისავე სიტყვებით, გერმანიაში „ფორმულა-1“-ის პილოტი ხშირად იკეთებდა პარიკს, რომ უცნობად დარჩენილიყო. მაგრამ ეს სულაც არ უწყობდა ხელს მის ინკოგნიტობას ავტოგრაფების მოყვარულებისაგან თავის დასაღწევად.

„რა მომხიბვლელობაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთი ყბის მქონეს? – ამბობს გაკვირვებული გერმანელი. – თაყვანისმცემელ ქალებს იმით ვიზიდავ, რომ ასეთი წარმატება მაქვს, და მეტი არაფერი. ამიტომ გასაკვირი არ იყო, როცა მიხაელის მეუღლე, მომხიბვლელი ქერათმიანი კორინა სამშობიაროდ ემზადებოდა, გერმანელმა აღიარა: „ვიმედოვნებ, ბავშვი დედას ემსგავსება და მამის ყბა არ გამოჰყვება“. საკუთარი ხიბლის ასეთი დაურწმუნებლობა „ფორმულა-1“-ის სხვა მრბოლებსაც ახასიათებს. „სამეფო რბოლის“ ბევრი პილოტი ფიქრობს, რომ ქალებს მათი ფული აინტერესებდათ.

90-იანი წლების დასაწყისში „მერსედესმა“ გადაწყვიტა, რომ – „ფორმულა-1“-ის საჩემპიონო სიას გერმანული გვარები აკლია და ავტოგიგანტმა რჩეულებში სერიოზული მუშაობა გააჩაღა. პირველებად შუმახერი და ფრენტცენი ითვლებოდნენ. ამასთან, ხშირად ეს უკანასკნელი იმარჯვებდა და სპეციალისტები რწმუნდებოდნენ, რომ სწორედ ხერალდი დაასწრებდა ყველას და გაიჭრებოდა წინ, პოდიუმისკენ. იქნებ ასეც მოხდებოდა, მიხაელს რომ მისთვის ცხვირწინ არ გამოეცვალა საცოლე. ახლა ეს ამბავი ლეგენდებითაა მოცული და თვით მონაწილეებმაც კი არ იციან რომელი მართალია და რომელია მონაგონი. მაგრამ ამბობენ, რომ ხერალდმა, მიამიტობით, მოწყენილი შუმახერი დაპატიჟა მასთან და კორინასთან ერთად გამგზავრებულიყო სეიშელის კუნძულებზე. იქიდან დაბრუნებული ფრენტცენი დარწმუნდა რომ მარტო დარჩა – უსაცოლოდ და უმეგობროდ. იგი ისე დათრგუნა ამან, რომ ავტომრბოლისტის კარიერის დამთავრებაც კი გადაწყვიტა, ვიდრე თანამემამულე ტანიას არ შეხვდა, რომელიც ძალიან შეიყვარა.



კორინა კარგა ხანს ელოდა მიხაელის კანონიერ ცოლობას, ჯვარი 1995 წელს დაიწერეს, 1997-ში გაჩნდა ჯონი-მარია შუმახერი. „ვაღმერთებ ამ ორ ქალს, რომლებმაც ჩემი ცხოვრება შეცვალეს“, – თქვა მრბოლმა მაშინ.

შუმახერის ქვაწვიობაზე მრავალი ანეკდოტი დადის, მისმა მენეჯერებმა კი, თავის ხელქვეითს „ძუნწი რაინდი“ უწოდეს, რომელიც ცენტსაც არ დახარჯავს ისე, თუ ყველაფერი არ აწონ-დაწონა. ასე, მაღალი საგადასახადო სისტემის გამო შვეიცარიაში დასახლდა და კიდევ, დადის ხმები, თითქოს მილიონერმა შუმახერმა ის მიზერული დახმარება მოითხოვა, რომელიც გერმანელ მამაკაცს ეკუთვნის პირველად რომ მამა გახდება.

და მაინც, როცა ლაპარაკია მეუღლესა და ბავშვებზე, „ძუნწი-მიხაელი“ უაღრესად ხელგაშლილი ხდება. კორინა ნამეტნავად ანებივრებს პუტცის (ასე ეძახიან შინაურები ჯინა-მარიას) უძვირფასეს მაღაზიებში რომ ყიდულობს მდიდრულ სამოსს, როცა პატარას უფრო უბრალო კაბაში, ყურებამდე ტალახში ჯდომა ურჩევნია.

ეს ოჯახური იდილია უფრო გაძლიერდა, როცა 29 წლის კორინამ ვაჟი გააჩინა. ბედნიერმა მშობლებმა მას მიკი დაარქვეს. გესლიანმა ჟურნალისტებმა დაამატეს – „სწრაფი მიკი“, ვინაიდან პატარა ვადაზე ადრე დაიბადა. შთამომავლის გაჩენისთანავე, მიხაელმა განაცხადა: რომ არ უსურვებდა პატარა მამისა და ბიძის კვალს გაჰყვეს, მრბოლის პროფესია აირჩიოს. „ვურჩევდი გოლფის თამაშს. ისე, უბედნიერესი კაცი ვარ ქვეყანაზე. მაქვს ყველაფერი, რაზეც შეიძლება იოცნებოს კაცმა: სახლი, ცოლი და ორი შვილი“...

ალბათ, არავინ გაამტყუნებდა მიხაელს შარშანდელი საშინელი ავარიის შემდეგ თავი რომ დაენებებინა რბოლისათვის. მაგრამ არა, შუმახერი აღსავსე იყო მისი ცხოვრების მთავარი მიზნით – გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი ლეგენდარულ სკუდერიის შემადგენლობაში და ამ მიზანს მიაღწია კიდეც. მალაიზიის „გრან-პრიზე“ ამ ოცნებას წერტილი დაესვა – შუმახერი სამგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, „ფერარის“ გუნდმა კი კონსტრუქტორთა თასი მოიგო.

„ფორმულა-1“ 52-ე ჩემპიონატს გერმანელი მრბოლი სრულ მზადყოფნაში ხვდება. იგი სრულიად განიკურნა შარშანდელი ტრავმისაგან, ფეხიდან ამოულეს ლითონის ფირფიტა... წინ ახალი სტარტებია.

*სურათზე: მიხაელ და კორინა შუმახერები*

## კრივი

### კრივი და ისლამი – შეუთავსებელია!

ჭეშმარიტი მუსლიმანი შეუძლებელია იყოს მოკრივე, – ასე თვლის ავღანეთის სპორტის მინისტრი კალამუდინი. ჯერ კიდევ ადრე, როცა იგი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ავღანეთში აკრძალა მოკრივეთა შეჯიბრებები დღისით. კალამუდინს გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს „კრივთან ბრძოლა“.

ადგილობრივი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მინისტრმა თქვა, რომ კრივი, ძალიან ბევრ რამეში ეწინააღმდეგება ისლამის კანონებს. მაგალითად, მუსლიმანებს კატეგორიულად ეკრძალებათ ერთმანეთს ურტყან თავში.

მინისტრმა, კიდევ ერთხელ, დაადასტურა, რომ მუსლიმანები ვალდებულნი არიან ატარონ წვერი. ეს კი, როგორც ცნობილია, აკრძალულია სამოყვარული კრივის საერთაშორისო წესებით.

სხვათა შორის, ამ მიზეზით ავღანეთის მოკრივეთა გუნდი დისკვალიფიცირებულ იქნა მსოფლიო ბოლო ჩემპიონატზე.

### ჟიროვი-გონსალესი

ყაზახეთის მოკრივის ვასილი ჟიროვის პრომოუტერი პანოს ელიადესი ალმა-ათას ეწვია, რათა შეამოწმოს ორგანიზატორების მზადყოფნა მსოფლიო პირველობის ჩასატარებლად IBF ვერსიით, სადაც მისი შეგირდი ჟიროვი ალექსეი გონსალესს შეხვდება 6 თებერვალს.

## ავსტრალიის ღია პირველობაზე
# კაპრიატის ფანტასტიკური მიღწევები




ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მთავარ სენსაციად მიმომხილველებს ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის პირდაპირ ფანტასტიკურ წარმატებებს თვლიან. იტალიური წარმოშობის ჩოგბურთელი ოდესღაც ამერიკაში ვუნდერქინდად ითვლებოდა, ადრეულ ასაკში ჩინებული წარმატებები ჰქონდა, მაგრამ შემდეგ კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცა. ნარკოტიკები, ქურდობაც კი, მცირე ხნით ციხე... როცა კაპრიატიმ თამაში განაახლა, იგი უკვე აღარაფრით ჰგავდა იმ უნიჭიერეს ჩოგბურთელს. თანდათანობით გამოირკვა, რომ ახალგაზრდა ოსტატს მეტად მტკიცე ნებისყოფა აღმოაჩნდა, მან ხელი აიღო თავის ადრინდელ ცხოვრებაზე და 1999 წლისათვის შედეგებიც გააუმჯობესა.

ავსტრალიაში კაპრიატი ადრე ჩავიდა, ასე ვთქვათ, მოთელვის მიზნით ითამაშა სიდნეის ძლიერ, მეორე კატეგორიის ტურნირში, სადაც მარტინა ჰინგისი და ლინდსეი დევენპორტიც მონაწილეობდნენ. აქ იგი ბევრ ვერაფერს გახდა, 1/8 ფინალში წააგო ამერიკელ ლაიზა რეიმონდთან, მაგრამ აი, დაიწყო მთავარი...

როცა მელბურნის ტურნირის ანუ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის განთესვა მოხდა, კაპრიატიმ მე-12 ნომერი მიიღო. ერთი სიტყვით, მას საკმაოდ აფასებდნენ, თუმცა დიდ შედეგებს არავინ ელოდა. შედეგებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

როცა ჯენიფერმა მირიამ ორემანსს (ჰოლანდია) იოლად მოუგო, ეს, რა თქმა უნდა, არავის გაჰკვირვებია. იგივე ითქმის ჰენრიეტა ნაგოვას (სლოვაკია) დამარცხებაზეც. თუმცა აქ ამერიკელმა წააგო პირველი სეტი. აი, მეოთხედფინალში კი, სადაც კაპრიატის შეხვდა მეოთხე ნომრად განთესილი მონიკა სელეში,. ჯენიფერს გარდუვალ დამარცხებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მან სამ სეტში გაიმარჯვა, შემდეგ ნახევარფინალში უკვე მეორე ნომრად განთესილ ლინდსეი დევენპორტსაც მოუგო (რომელმაც მეოთხედფინალში სძლია ანა კურნიკოვას) და ახლა შაბათს ფინალში ხვდება მარტინა ჰინგისისა და ვენუს უილიამსის წყვილში გამარჯვებულს. ამას კი, პირდაპირ უნდა ითქვას, არავინ მოელოდა. ვთქვათ ისიც, რომ მეოთხედფინალში ჰინგისმა მოუგო სერენა უილიამსს, ვენუს უილიამსმა კი ამანდა კეცერს.

ბევრი მოულოდნელობაა ვაჟთა შეჯიბრებაში. შეჯიბრება ადრე დატოვეს პირველ და მეორე ნომრებად განთესილებმა გუსტავო კუერტენმა და მარატ საფინმა. აი, მესამე ნომრად განთესილ პისტოლ პიტის-სამპრასის მარცხი თანამემამულე ტოდ მარტინთან (რომელიც განთესილი არა ყოფილა) კი საკმაოდ მოულოდნელი იყო. ამის შემდეგ თითქოს გაიზარდა ავსტრალიის ღია პირველობაზე შარშანდელ გამარჯვებულ ევგენი კაფელნიკოვის (მან მეხუთე ნომერი მიიღო) შესაძლებლობები, მაგრამ მეოთხედფინალში მას არნო კლემანმა (საფრანგეთი) სძლია. ნახევარფინალური წყვილები ასე გამოიყურებოდა: აშკარა ფავორიტ ანდრე აგასის (თუმცა მეექვსე ნომერი ერგო) დაუპირისპირდა პატრიკ რაფტერი (№12), რომლის მზადყოფნა ტრავმის შემდეგ აშკარად გაუმჯობესდა, მაგრამ ვინ ელოდა მეორე ნახევარფინალში ფრანგების არნო კლემანისა (№15) და სებასტიან გროსჟანის (№16) დაპირისპირებას.

# სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში კასპაროვმა მოუგო შიროვს




ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი თუნდაც იმიტომ შევა ისტორიაში, რომ აქ მსოფლიოს ახლანდელი (ზაფხულის) და ახლანდელი (იანვრის) რეიტინგ-ლისტის მიხედვით 10 უძლიერესი მოჭადრაკიდან 9 მონაწილეობს! ვინ იცის, რამდენი სიძნელე გადალახეს ორგანიზატორებმა, სანამ ასეთ შემადგენლობას მოთავს უყრიდნენ.

8 ტურის შემდეგ ასეთი უძლიერესი ტურნირისათვის პირდაპირ განსაცვიფრებელი შედეგით – 6,5 ქულით (5 მოგება და 3 ყაიმი) ლიდერობდა ალექსეი შიროვი. ყველაფერი კარგად იყო, სანამ შიროვი მეცხრე ტურში არ შეხვდა გარი კასპაროვს, რომელსაც, რომ იტყვიან, „დასანახად ვერ იტანს“ ამ სიტყვის არა მარტო საჭადრაკო, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. როგორც ადრე უკვე გაცნობეთ, მათი პირადი ანგარიში აქამდე იყო +9-0=9 ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ. ახლა კასპაროვი თეთრებით თამაშობდა, მეტოქეს კიდევ ერთი დამარცხება აგემა და მოგებების ანგარიში დაამრგვალა + 10! ამრიგად, 9 ტურის შემდეგ კასპაროვი დაეწია შიროვს, ორივემ 6,5-6,5 ქულა მოაგროვა.

მეცხრე ტურში პირველი პარტია წააგო მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა ალექსანდრ მოროზევიჩს. ახლა მოროზევიჩიც დაეწია კრამნიკს – მათ 5,5 – 5,5 ქულა აქვთ. 5-5 ქულა სამმა მონაწილემ მოაგროვა: მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ვიშვანათან ანანდმა, მაიკლ ადამსმა და ვასილი ივანჩუკმა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური რჩება.

# ზავის ღირებულება — 50 ათასი დოლარი

ფიდე ცდილობს განდგომილი თუ ნაწყენი დიდოსტატების შემორიგებას. დამყარდა კონტაქტი მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკთან. ვერაფერი უხერხდება ურთიერთობის მოგვარებას მსოფლიოს ექს-ჩემპიონ გარი კასპაროვთან. აი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ანატოლი კარპოვს კი ფიდე უკვე შეურიგდა. კარპოვის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შეიცვალა თავისივე მიერ მიღებული დებულება მსოფლიო პირველობის ჩატარების შესახებ. 1998 წლის დასაწყისში კარპოვმა მოუგო მატჩი ანანდს (3,5:2,5) და მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა ფიდეს ვერსიით. იმ მომენტში მოქმედი დებულების მიხედვით კარპოვს ეს წოდება ორი წლით მიენიჭა — 2000 წლამდე. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სულ მალე ფიდემ გაითვალისწინა სხვადასხვა ფედერაციების თხოვნა და მსოფლიო პირველობის გათამაშება ყოველწლიური გახადა. ამაში კარპოვმა თავისი უფლებების შელახვა დაინახა და აღძრა სასამართლო საქმე. დავა გაჭიანურდა, ამასობაში კი კარპოვმა არ ითამაშა არც მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში ფიდეს ვერსიით, რომელიც 1999 წელს ალექსანდრ ხალიფმანის გამარჯვებით დასრულდა, არც მესამე ჩემპიონატში 2000 წელს — აქ, როგორც მოგეხსენებათ, ვიშვანათან ანანდმა გაიმარჯვა. კარპოვი მოითხოვდა მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მან, ასე ვთქვათ, საჭადრაკო უმოქმედობით მიიღო.

და აი ლოზანის (შვეიცარია) საარბიტრაჟო სასამართლომ კარპოვი და ფიდე, ბოლოს და ბოლოს, შეარიგა. ფიდემ კარპოვს 50 ათასი დოლარი გადაუხადა. ამიერიდან მხარეებმა ერთი ვალდებულებაც იკისრეს — ერთმანეთი აღარ გააკრიტიკონ.

# 70 წლის კორჩნოიმ და 17 წლის პონომარიოვმა 12 ათასი დოლარი ძმურად გაიყვეს

**დონეცკში, 8 პარტიისაგან შემდგარი მატჩი 17 წლის უკრაინელ დიდოსტატის რუსლან პონომარიოვსა და ჭადრაკის პატრიარქ, შვეიცარიელ ვიქტორ კორჩნოის შორის დამთავრდა ყაიმით 4:4. მეტოქეებმა ორ-ორი პარტია მოიგეს და 4 ყაიმით დაამთავრეს. ამგვარად, მათ ძმურად გაიყვეს 12 ათასი დოლარი.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**26 იანვარი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (20.00), ***რუსეთის I არხი.*** „ფეხბურთი. „თანამეგობრობის თასი“, ნახევარფინალი (0.55), ***РТР.*** ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი. ბრატისლავიდან (23.30), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (14.40), კარატე „რუსეთის ვარსკვლავები“ (15.40), ტაილანდური კრივი. რუსეთის ჩემპიონატი (19.20), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (14.40), კარატე. „რუსეთის ვარსკვლავები“ (15.40), ტაილანდური კრივი. რუსეთის ჩემპიონატი (19.20), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 12.00, 2.30, 4.30), რაგბის სამყარო (17.30), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (18.30), საერთაშორისო ფეხბურთი: ავსტრალია – ისლანდია (1.00), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (11.30, 20.30, 1.15) ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (16.00, 21.30, 2.30), სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (15.50), „თანამეგობრობის თასი“ (19.55), ევროპის ფეხბურთი (21.50), გერმანიის (23.10), საფრანგეთის (1.20) ჩემპიონატები.

**27 იანვარი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონატი (23.30), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (22.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (11.40, 0.00), ტაილანდური კრივი (18.40), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (20.10), „დიდი რინგი“ (21.30), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (23.30). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.30, 18.30, 19.00), ცხენოსნობა. დაიჯესტი (12.00), „რაგბის სამყარო“ (23.00), იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (2.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 14.00, 20.00, 2.15), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (16.00, 1.00), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი (13.15), „თანამეგობრობის თასი“ (15.00, 16.45), გერმანიის ჩემპიონატი (18.25), ჩემპიონთა ლიგა-2000 (20.35) „შაბათის საღამო“. იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი (1.35)

**28 იანვარი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** მონდიალი (18.50), რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (19.20), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონატის მატჩი (23.30), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (23.20), ავტორბოლა. გრან-პრი (15.00), კატერებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.15), სპორტული ცეკვები. გრან-პრი (21.00), კარატე. „რუსეთის ვარსკვლავები“ (1.15), ***ESPN.*** კალათბური. ნბა (8.00, 22.00), აზიის ფეხბურთი (10.00, 4.20, იტალიის ფეხბურთი (12.30, 19.00), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (2.00), აზიის ფეხბურთი (4.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 14.00, 18.30), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (1.00), ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (23.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), იტალიის (17.15, 23.25), ესპანეთის (19.10, 1.35), საფრანგეთის (22.45)) ჩემპიონატები და მიმოხილვა. „თანამეგობრობის თასი“ (14.55).

# კიდევ ერთი ჰოკეისტი მოკლეს

**მაგნიტოგორსკის „მეტალურგის“ ჰოკეისტთა გუნდის მეკარე სერგეი ზემჩენოკი საღამოს ვარჯიშის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, როცა საკუთარი სახლის კარებთან ჩასაფრებულმა კილერმა სიცოცხლეს გამოასალმა. მკვლელმა იქვე დააგდო გაზის რევოლვერი, რომელიც საბრძოლოდ იყო გადაკეთებული და მიიმალა. მეკარე ზემჩენოკი 24 წლისა იყო.**

**გაზეთ „ლელოს“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ჟურნალისტ ოთარ ტურაბელიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საინფორმაციო სააგენტო „გუმათი“ სამძიმარს უცხადებს ჟურნალისტ ოთარ ტურაბელიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი №7



**თარაზულად:** 5. წარსულში სახელგანთქმული ჩეხი სტაიერი, 6. ლეგენდარული ქართველი მთამსვლელი, 8. ახლო წარსულში რუსეთის კლუბებში მოთამაშე ბალტიისპირელი ფეხბურთელი, მეკარე, 11. ტერმინი რაგბში, 14. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 15. იტალიელი ფეხბურთელი, მცველი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 16. წარსულში ფორმულა 1-ის სახელგანთქმული პილოტი, 17. არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი, 21. ნბა-ს ვარსკვლავი, 22. 60-იანი წლების ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი, მცველი, 23. სპორტსმენის დონე ანუ..., 26. იტალიის კლუბი, 27. კომპოზიტორი, საფეხბურთო მარშის შემქმნელი, 28. ბრაზილიელი საფეხბურთო მწვრთნელი ჟურნალისტი.

**შვეულად:** 1. წარსულში სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე, 2. ამერიკელი მძლეოსანი ვაჟი, 3. მძლეოსნობის სახეობა, 4. წარსულში კიევის დინამოს ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 7. უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო, 9. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, 10. სპორტის ზამთრის სახეობა, 12. ცნობილი ჩოგბურთელი ვაჟი, 13. თურქეთის ზღვისპირა კურორტი, სადაც სპორტსმენები მეტწილად შეკრებებს გადიან, 18. ფორმულა 1-ის პილოტი, 19. ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი, 20. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 24. სპორტული ინვენტარი, 25. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი.

### №6 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. დვირი, 8. ოსკარი, 11. ბალი, 12. ტორსიდა, 13. ბაზა, 14. ჩიბურდანიძე, 15. ცხენი, 16. ოტი, 17. ოპრია, 19. დანი, 21. პერიოდი, 22. ბო, 23. ბადრო, 24. სალდანია, 27. ლი, 28. სო, 31. შტანგა, 33. „ტორნადო“, 34. სუმო. **შვეულად:** 1. კორაჩი, 2. ბა, 3. ჯი, 5. ვარდიმიადი, 6. რაი, 7. „ალაზანი“, 9. კორბუტი, 10. რუ, 18. სენა, 20. სტარტი, 22. ბოლიდი, 23. ბუ, 25. დინო, 26. ნოა, 29. ოტო, 30. ურო, 32. კუ.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი




ნადიშამათი 2 სვლაში
(ორი ამოხსნა)

**წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:**

პირველი ამოხსნა:
1. მფd4 კf1 2. ეe4 მc2X.

მეორე ამოხსნა:
1. მფf4 კf8 2. ეe4 კh6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.